# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 ნოემბერი 2002 №218 (1740) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს თქვენ გელით სიკვდილი

CHAMPIONS LEAGUE

დღეს ჟენევაში ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპისა და უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრაა. ერთი რამ აქედანვე ცხადია, ბურთულები როგორც გინდა აურიონ და ვისმაც გინდა მადლიანმა თუ უმადლო ხელმა ამოიღოს და გახსნას, უეჭველია: ლიგას სიკვდილის ჯგუფები არ ასცდება.

კალათებს ჩავხედოთ, პირველი და მეორე კალათებიდან „მანჩესტერი" და „არსენალი" ვერ მოხვდებიან ერთ ჯგუფში, თორემ სხვა რაგინდა ვარიანტი შეიძლება გამოვიდეს. ცუდია? აქედანვე გარკვეული ისაა, რომ „არსენალი" და „რომა" ნაღდად ერთად იქნებიან, ამათ „ბარსელონა" ან „ვალენსია" შეუერთდება და ჯგუფში მეტი ვინ გინდა...

ან „რეალი" და „მილანი" რომ მოხვდნენ ერთად...

ერთი სიტყვით, ვარიანტები ბევრია და ყველა ერთიმეორეზე უკეთესი, ქართველები კი ევროპაში ორნილა დარჩნენ — ლიგაში მილანელი კახა კალაძე, უეფას თასზე კი შტურმელი დავით მუჯირი.

წუხელ უეფას თასიდან თემურ ქეცბაიას „ანართოსისიც" გავარდა.

**I კალათა**

რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ბარსელონა (ესპანეთი)
ვალენსია (ესპანეთი)

**II კალათა**

იუვენტუსი (ტურინი, იტალია)
არსენალი (ლონდონი, ინგლისი)
ინტერი (მილანი, იტალია)
მილანი (იტალია)

**III კალათა**

დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია)
რომა (რომი, იტალია)
ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია)

**IV კალათა**

ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)
აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია)
ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი)
ბაზელი (შვეიცარია)



REUTERS

ლიბერეცი — იფსვიჩი 1:0. უეფას თასზე თბილისის „დინამოს" მომგებებმა, სამუელ სლოვაკმა და ლიბერეცელებმა ბრიტანელებს გაჭირვებით, პენალტებით აჯობეს

# რა მწარე იყო კოლოს ნაკბენი...

## წადი, ანდრე! ფერერომ ჰიუიტის საქმე გააკეთა




REUTERS

კაცთა ამქრის 21 წლის უსტაბაშმა ლეიტონ ჰიუიტმა უკვე მარატ საფინთან მოგებულ მატჩამდევე იცოდა, რომ წლევანდელ სეზონს კვლავ რბოლის ჩემპიონად გაასრულებდა – მისმა უმთავრესმა მოცილემ, ანდრე აგასიმ კოლოდ მონათლულ ხუან კარლოს ფერეროს წინააღმდეგ მანამდე გამართულ შეხლაში ალაგ-ალაგ ნაჩვენები არაამქვეყნიური ჩოგნაობის მიუხედავად, მაინც დათმო და პირველი ადგილისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ყოველთვის სევდიანი სანახავია, როცა დიადი კაცი მარცხდება, მით უფრო, როცა ატყობ – საქმეს ეს კაცი ჯერ კიდევ სხვებზე ეშხიანად და ზებუნებრივად აკეთებს. ვაგლახ – ანდრე აგასის გენიალურმა ჩოგნაობამ გუშინ შანხაის მასტერსთასზე მხოლოდ ერთი სეტისა და რამდენიმე გეიმის განმავლობაში გასტანა...ერთი სიტყვით, აგასი ვერც ჰიუიტს შესწვდა და ვერც სეზონის ბოლო ბობოლა ტურნირის ნახევარფინალს უწია.

იხილეთ მეცამეტე გვერდი



ბეშიქთაში — ალავესი. იბრაჰიმ უზულმეზმა ვიტორიელ დელფინ ჯელის ფეხქვეშ მიწა გამოაცალა

## უეფას თასი 2002-2003
### მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები

ლევსკი (ბულგარეთი) 1:0დ.დ.(პენ. 7:8, 1:0) შტურმი (ავსტრია) (0:1)
1:0 სიმონოვიჩი (6)
შტურმელ დავით მუჯირის არ უთამაშია
გაძევება: როხასი (114, შტურმი)

ანართოსისი (კვიპროსი) 0:1 ბოავიშტა (პორტუგალია) (1:2)
0:1 ელპიდიუ სილვა (90პ)
ანართოსისელმა ოთხი ძმების 90 წუთი ითამაშა

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 1:4 ლიდსი (ინგლისი) (0:1)
1:0 აბუქსისი (2), 1:1, 1:2, 1:3, 1:4 სმიტი (30, 54, 62, 83)
გაძევება: აბუქსისი (79, ჰაპოელი)

შალკე (გერმანია) 0:0 ლეგია (პოლონეთი) (3:2)

დენიზლისპორი (თურქეთი) 2:0 სპარტა (ჩეხეთი) (0:1)
1:0, 2:0 მუსტაფა (23, 53პ)

ვიკინგი (ნორვეგია) 1:1 სელტა (ესპანეთი) (0:3)
0:1 მოსტოვოი (75), 1:1 სიგურდსონი (85)

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1 ლაციო (იტალია) (0:1)
1:0 ბოშკოვიჩი (70), 1:1 კიეზა (77)

ლიბერეცი (ჩეხეთი) 1:0დ.დ.(პენ. 4:2, 1:0) იპსვიჩ თაუნი (ინგლისი) (0:1)
1:0 გაანი (87)

ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0 ალავესი (ესპანეთი) (1:1)
1:0 ილჰანი (8)
გაძევება: ილჰანი (84, ბეშიქთაში), ტელიესი (84, ალავესი)

ფულემი (ინგლისი) 2:1 დინამო (ხორვატია) (3:0)
0:1 ოლიჩი (52), 1:1 მალბრანკი (89), 2:1 ბოა მორტე (90)

ბლექბერნი (ინგლისი) 0:2 სელტიკი (შოტლანდია) (0:1)
0:1 ლარსონი (15), 0:2 სატონი (68)

სლავია (ჩეხეთი) 5:1დ.დ. (3:1) პარტიზანი (იუგოსლავია) (1:3)
1:0, 2:0 ვახოუშეკი (11, 40), 3:0 პეტროუში (88), 3:1 ივიჩი (90), 4:1 გედეონი (94), 5:1 ადაუტო (110)
გაძევება: ბაიჩი (68, პარტიზანი)

მიდტიულანდი (დანია) 0:3 ანდერლეხტი (ბელგია) (1:3)
0:1 სეოლი (12), 0:2 იესტროვიჩი (83), 0:3 დინდანე (89)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:1 პაოკ (საბერძნეთი) (1:2)
1:0 ტარარახე (45), 1:1 მარკოსი (90)

ვერდერი (გერმანია) 3:3 ვიტესი (ჰოლანდია) (1:2)
1:0 ბაუმანი (24), 2:0 კრისტაიჩი (49), 2:1 ლეფჰერე (51პ), 2:2 კლასენსი (73), 3:2 ხარისტეასი (77), 3:3 მმამბა (90)
გაძევება: რანკოვიჩი (68, ვიტესი)

პსჟ (საფრანგეთი) 1:0 ნაციონალი (რუმინეთი) (2:0)
1:0 ლ. ლეროა (57)

ვისლა (პოლონეთი) 4:1დ.დ. (2:1) პარმა (იტალია) (1:2)
0:1 ადრიანო (5), 1:1 კ. კოსოვსკი (71), 2:1, 3:1 ჟურავსკი (79, 94), 4:1 დუბიცკი (108)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 4:1 ფენერბაჰჩე (თურქეთი) (1:1)
1:0 ლიბეროპულოსი (24), 2:0 გუმასი (31), 2:1 თუნჩაი (37), 3:1 მიკაელსენი (43), 4:1 ვარგასი (89)

პორტუ (პორტუგალია) 2:0 აუსტრია (ავსტრია) (1:0)
1:0 პოსტიგა (29), 2:0 დერლეი სილვა (87)

ბეტისი (ესპანეთი) 3:0 ვიქტორი (ჩეხეთი) (1:0)
1:0 კასასი (45), 2:0 ხოაკინი (56პ), 3:0 ჟოაუ ტომასი (86)



პსჟ — ნაციონალი. პარიზელთა ბრაზილიელი რონალდინიო რუმინელებმა შუაში მოიმწყვდიეს



ლევსკი — შტურმი. ბულგარელმა და ავსტრიელმა ქომაგებმა ერთმანეთს მუშტი არ დაამადლეს



პანათინაიკოსი — ფენერბაჰჩე. თურქთა მეკარემ რუშთუმ ამჯერზე კი ივარგა



ლიდსელმა ალან სმიტმა „ჰაპოელი" ოთხი გოლით დაასაჩუქრა



„სელტიკის" მწვრთნელმა მარტინ ონილმა „ბლექბერნის" დამარცხება ასე აღნიშნა

## კალათბურთი

### ევროლიგა
პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 14 ნოემბერი

**A ჯგუფი**
ალბა 82:80 პო ორტეზი

**C ჯგუფი**
რეალი 73:66 ოლიმპიაკოსი
კინდერი 83:85 ცსკა

**B ჯგუფი**
ტაუ 113:88 ჟალგირისი
მაკაბი 107:86 ბუდუჩნოსტი
სიენა 86:79 ოლიმპია

### საფრანგეთი
I დივიზიონი
XV ტური
მონაკო 3:2 აიაჩო

### საბერძნეთი
თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები
აკრატიტოსი 2:0 კალამატა
არისი 3:1 პატრაიკოსი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. E ჯგუფი

## ფეიენოორდი 2:3 ნიუკასლი

როტერდამი. „დე კუიპი“. 48 000 მაყურებელი. მსაჯი: ფრანც-ხაიერ ვაკი (გერმანია)

0:1 ბელამი (45), 0:2 ვიანა (49), 1:2 ბომბარდა (65), 2:2 ლურლინგი (71), 2:3 ბელამი (90)

| | |
|---|---|
| ლოდევაიქსი, გიანი, ვან ვონდერენი, პაუვე, რჟასა, ბოსველტი, ჩ. სონგი (ბომბარდა 52), ემერტონი, ლურლინგი, ბუფელი, კალუ<br>მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი | გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ე. ობრაიენი, პიუზი, ჯენასი, სპიდი, ვიანა (ბერნარი 83), დაიერი, შირერი, ბელამი<br>მწვრთნელი: ბობი რობსონი |

ჯარიმა: 16-28; კუთხური: 12-5; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 6-10; თამაშგარე: 13-3

# ნიუკასლი ჯგუფიდან ისტორიაში გავიდა

**ამრიგად**, „ნიუკასლ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი გუნდია, რომელმაც ჯგუფური ეტაპის პირველი სამი თამაში წააგო და მაინც გავიდა შემდეგ წრეში. როტერდამში, „ფეიენოორდთან“ საოცარმა გამარჯვებამ ნიუკასლელებს მეორე ადგილი მოუტანა, რაშიც, თავის მხრივ, დიდი წვლილი „იუვენტუსის“ დუბლშემადგენლობამ შეიტანა, რომელმაც კიევში „დინამოს“ 2:1 სძლია.

როტერდამელთა და ნიუკასლელთა შეხვედრა დრამატულად წარიმართა. სტუმრები თავიდან 2:0-ს იგებდნენ, შემდეგ მასპინძლებმა გაათანაბრეს და სულ ბოლოს, 90-ე წუთზეღა გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა — უელსელმა კრეიგ ბელამიმ იმ მატჩში თავისი მეორე გოლი შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ბელამის აქამდე „ნიუკასლის“ ხუთივე ჯგუფური შეხვედრა ჰქონდა გამოტოვებული.



კრეიგ ბელამიმ „ფეიენოორდის“ ცოდვა დაიდო — ორი გოლი გაიტანა

როგორც მოგახსენეთ, „ფეიენოორდი“ 0:2-ს აგებდა და გაათანაბრა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მეორე ტაიმში მასპინძელთა შემადგენლობაში მარიანო ბომბარდა გამოჩნდა და 65-ე წუთზე სხვაობა შეამცირა, ხოლო ექვსი წუთის შემდეგ კვლავ მისი მონაწილეობით ანტონი ლურლინგმა გაქვითა.

უნდა ითქვას, რომ მესამე გოლის გატანა ერთსაც შეეძლო და მეორესაც, მაგრამ დრო გადიოდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ შეხვედრის ლოგიკური დასასრული ფრე უნდა ყოფილიყო. თუმცა, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ასე არ მოხდა. კირონ დაიერმა, რომელმაც იმ დღეს საუცხოოდ ითამაშა, მეურვეს თავი დააღწია და კარში დაარტყა, მაგრამ დარტყმა საკმაოდ უღონო გამოუვიდა და როტერდამელთა გოლკიპერმა პატრიკ ლოდევაიქსმა ბურთი მოიგერია, ოღონდ ისე, რომ ზემოხსენებულმა ბელამიმ (შეხვედრის ანონსში ვწერდით, რომ უელსელმა ფორვარდმა სამი თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, ხოლო ორი ტრავმის გამო) მძლავრად დამატება მოახერხა.

ბელამი პირველ ტაიმშიც შესამჩნევი ფიგურა გახლდათ. რომ ვთქვათ, თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო, არც ის იქნება ტყუილი და ამის დასტური შეხვედრის პირველი გოლი გახლავთ: „ნიუკასლის“ მეკარემ, შეი გივენმა ბურთს ლაზათიანად ამოსცხო, შემდეგ მას ალან შირერმა დაჰკრა თავი, ხოლო ბელამიმ შეტევა დააგვირგვინა — ბურთი მიიღო, პატრიკ პაუვე ჩამოიცილა და მარცხენა ფეხით ზუსტად დაარტყა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, შესვენებამდე მომენტები მასპინძლებს სტუმრებზე მეტი ჰქონდათ. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, 39-ე წუთზე ტომას ბუფელმა მეკარესთან პირისპირ შესვლა რომ ვერ შეირგო, იმიტომ, რომ ბურთს გაასწრო. კიდევ მწვავე მომენტი ჰქონდა პოლ ბოსველტსაც, რომელმაც ბურთი კარგად დააბზრიალა, მაგრამ სულ ცოტათი დააკლდა სიზუსტე — ხარიხას გადააცილა.

მეორე, დრამატულ ტაიმში ორივე გუნდმა ააჩქარა ტ[illegible]მპი, მაგრამ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ და, ალბათ, ეს ლოგიკურიცაა, რადგან ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ნიუკასლი“ სწორედ რომ დრამატულ შეხვედრებს და ჩამორჩენათა ყოჩაღად გამოსწორებას დაეჩვია. ამის საუცხოო მაგალითი მთელი პირველი წრე გახლავთ: ზედიზედ სამი წაგება და ზედიზედ სამი მოგება.

## დინამო 1:2 იუვენტუსი

კიევი. „ოლიმპიური“. 75 000 მაყურებელი. მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

1:0 შაცკიხი (49), 1:1 სალასი (52), 1:2 ზალაიეტა (61)

| | |
|---|---|
| რევა, გიოანე, ბოდნარი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, ხაცკევიჩი (ლეკო 60), დმიტრულინი, ბელკევიჩი, გუსინი, შაცკიხი, რინკონი (ჩერნატი 67)<br>მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო | კიმენტი, პესოტო, ფრეზი, იულიანო, ბირინდელი, ბაიოკო, კონტე (პარო 26), ძამბროტა, ოლივერა (დავიდსი 75), სალასი (კასანი 90), ზალაიეტა<br>მწვრთნელი: მარჩელო ლიპი |

ჯარიმა: 12-17; კუთხური: 5-6; კარისკენ დარტყმა: 8-4; კარში დარტყმა: 11-4; თამაშგარე: 4-1

# ლიპის ღირსეული სიტყვა

**თქვა** იმ კაცმა, ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, მართალია, ბოლო ტურში ალარაფერი მჭირდება და კიევში ძირითადი შემადგენლობის ჩაყვანასაც ნუ მომთხოვთ, მაგრამ ღირსებას რომ გავუფრთხილდებით, ამას თქმა რად უნდა, „დინამოს“ წინაალმდეგ ნამდვილ „იუვენტუსს“ გაჩვენებთო. თქვა და აასრულა!

ხოლო კიეველთა თავკაცი, ალექსეი მიხაილიჩენკო გუნდურ სულისკვეთებასა და პირველ შეხვედრაში ნაწვნევი 0:5-ისთვის შურისძიებაზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ გაირკვა, რომ მის გუნდს ჯერჯერობით აკლია სიმძლავრე, ტემპი და ერთსულოვნება მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე, რომლითაც კიეველები ტრადიციულად გამოირჩეოდნენ.

როგორც მოგახსენეთ, „იუვენტუსი“ კიევში ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩავიდა და პირველი ნამდვილი მომენტიც შექმნა: მარკ იულიანომ ძელს მოარტყა ბურთი.

„დინამომ“ რამდენიმე წამში ძელითვე უპასუხა — მცველმა ანდრეი ნესმაჩნიმ იტალიელთა სათადარიგო გოლკიპერის, ანტონიო კიმენტის კარის ჩარჩო შეაზანზარა.

შესვენების შემდეგ კი ანგარიში გაიხსნა. უზბეკმა თავდამსხმელმა მაქსიმ შაცკიხმა ზემოხსენებულ კიმენტის (რომელმაც რამდენჯერმე ჩინებულად იხსნა ტურინელთა კარი) ისე დაურტყა, რომ მან ბურთს ხელი კი შეახო, მაგრამ ვერ მოიგერია და ის მაინც ბადეში შევარდა.

თუმცა, ამ გოლიდან 12 წუთში ტაბლოზე უკვე სტუმრების უპირატესობა გახლდათ აღნიშნული. ჯერ იყო და, ჩილელმა ფორვარდმა მარსელო სალასმა გაიტანა ნამდვილი ფორვარდის საკადრისი ბურთი — წამი იხელთა და დაარტყა — ხოლო შემდეგ ურუგვაელმა მარსელო ზალაიეტამ კიეველთა გოლკიპერს, ვიტალი რევას იმ კუთხეში დაურტყა, რომელსაც იცავდა და ვერ დაიცვა.

ბოლო წუთებში კიეველები მთელი ძალით მიაწვნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. „იუვენტუსმა“ ექვს შეხვედრაში ოთხი გამარჯვება მოიპოვა.

„სამწუხაროა, რომ ჩემპიონთა ლიგას გამოვეთხოვეთ — თქვა მატჩის შემდეგ ალექსეი მიხაილიჩენკომ — ჩვენ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით, მაგრამ „იუვენტუსი“ ტექნიკური ფეხბურთელების რაოდენობით გვჯობია და ყველაფერი ამან განაპირობა.“

მარჩელო ლიპი: „ჩვენ საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გვყავს და ძირითად შემადგენლობაში თამაშს თითოეული მათგანი იმსახურებს. ამას გარდა, დღეს ორი ყმაწვილიც გამოვცადეთ, რუბენ ოლივეირა და მატეო პარო.“

**ბაჩუნა ძიძია**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |

„იუვენტუსი“ და „ნიუკასლი“ გავიდნენ მეორე ეტაპზე, „დინამო“ უეფას თასზე



ტურინელი რუბენ ოლივეირა და დინამოელი ლასლო ბოდნარი

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. F ჯგუფი

## მანჩესტერი 2:0 ლევერკუზენი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". 66 185 მაყურებელი. მსაჯი: ვლადიმირ პრინაკი (სლოვაკეთი)

1:0 ვერონი (42), 2:0 ვან ნისტელროოი (69)
*შიმაკმა ვერ გაიტანა პენალტი (17, ააცილა)*

| | |
|---|---|
| რიკარდო, ოში, ბლანი (გ. ნევილი 77), ფერდინანდი, სილვესტრი, ბექემი (სოლსკიაერი 77), ვერონი, ფორჩუნი, გიგზი (ჩედვიკი 84), სქოულზი, ვან ნისტელროოი. მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი | ბუტი, ჟივკოვიჩი, კლაინი, რამელო, სებესკენი, ბალიტჩი (პროისი 81), ბაბიჩი, შიმაკი, ბიროფკა (დოგანი 78), ბერბატოვი (ფრანცა 62), ბრდარიჩი. მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი |

ჯარიმა: 13-12; კუთხური: 7-5; კარისკენ დარტყმა: 3-10; კარში დარტყმა: 7-4; თამაშგარე: 4-2



REUTERS

რუუდ ვან ნისტელროოიმ გერმანელი თომას კლაინი „შპაგატზე" ჩასვა

# გვახსოვს სიტი
## ტოპმიოლერმა აპრილს ნოემბერი ამჯობინა

**„ლევერკუზენთან"** რომც წაეგო, „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა, ცხადია, არც ექნებოდა, თუმც პრემიერლიგაში თანაქალაქელ „სიტისთან" წაგების შემდეგ ალექს ფერგიუსონი თავისი ბიჭებისგან მოგებას კატეგორიულად ითხოვდა: „სიტისთან" მარცხზე ვერ ვიტყვი, არაფერი მომხდარაო. საქმე ისაა, რომ ბოლო ხანებში, კონკრეტულად კი პრემიერლიგის ბოლო ტურში, ჩვენი კონცენტრაცია კატასტროფულად დაბალი იყო. ამ გაკვეთილიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ამიტომაც ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში მხოლოდ გამარჯვებას ველი" — განაცხადა სერ ალექსმა მატჩის წინ.

„მანჩესტერმაც" მოიგო, თუმცა ეს რიო ფერდინანდის ტრავმად დაუჯდა. ინგლისელი მცველის ჯანმრთელობის მდგომარეობა უახლოეს ხანში დაზუსტდება.

მატჩში პირველი გოლი კი ხუან სებასტიან ვერონმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მანამდე „ლევერკუზენმა" თერთმეტმეტრიანის გაცუდება მოახერხა. პენალტი ოლდტრეფორდელთა მეკარე რიკარდომ ტომას ბრდარიჩის წაქცევისთვის დაიმსახურა. აცილებით კი იან შიმაკმა ააცილა.

მანჩესტერელებმა გერმანელთა აცილებულ პენალტს ოშისა და ბექემის არაზუსტი დარტყმებით უპასუხეს. საერთოდ კი, „იუნაიტედის" დაცვა უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე „სიტისთან" თამაშისას. ამიტომაც ფარმაცევტები ძირითადად შორი მანძილიდან ურტყამდნენ. განსაკუთრებით პენალტის ვერგამომყენებელი შიმაკი ცდილობდა. რიკარდოს მისი ორი სახიფათო დარტყმულის მოგერიება მოუხდა, ტაიმის მიწურულს კი ნახსენები გოლიც გავიდა. ვერონს რუუდ ვან ნისტელროოიმ უპასა. არგენტინელმაც ბურთი ერთი შეხებით დაიმორჩილა და უკვე მეორე მოძრაობით ჰანს იორგ ბუტის კარის ბადეში გაახვია.

ვერონმა „მანჩესტერის" მეორე გოლშიც დაიდო წილი. 69-ე წუთზე ვან ნისტელროოიმ სწორედ ვერონ-სქოულზის კომბინაცია დააგვირგვინა.

ამის მერე მასპინძლებს საქმის გამანადგურებელ ანგარიშამდე მიყვანაც შეეძლოთ. სილვესტრის თავური ხარიხამ აისხლიტა, ფორჩუნის გასროლილი კი ბუტმა აიღო.

„საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა კონცენტრაცია და გამარჯვების წყურვილი გამოავლინეს. მართალია, მატჩის დასაწყისში ცოტა არეულები ვჩანდით, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დავასრულეთ. უნდა აღვნიშნო, რომ გერმანელები სტანდარტული სიტუაციებისას განსაკუთრებით სახიფათონი იყვნენ" — განაცხადა ფერგიუსონმა ნამატჩევს.

შოტლანდიელს არც ვერონი დავიწყებია და არგენტინელის მიერ გატანილი გოლი გამოარჩია: „ასეთი გოლი ადვილი გასატანი არ არის, ვერონმა კი მოხტუნავე ბურთი ერთი შეხებით დაიმორჩილა. კარში ხომ საერთოდ ფანტასტიკურად დაარტყა."

მაინცდამაინც გულდაწყვეტილი არც სტუმართა თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი ჩანდა — შევეძლო, ანგარიში გაგვეხსნა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში „მანჩესტერის" შეტევები კიდევ უფრო მძვინვარე გახდებოდა. პირველი გოლი ცუდ დროს, ტაიმის მიწურულს გაგვიტანეს. დაღებითად მიმაჩნია, რომ აპრილთან შედარებით, როდესაც აქ პირველად ვითამაშეთ, დღეს გაცილებით მეტი მომენტი შევქმენითო, თქვა მან.

## ოლიმპიაკოსი 3:3 მაკაბი

პირეოსი. „რიზოუპოლი". 8 700 მაყურებელი. მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

0:1 ბადირი (9), 0:2 აიეგბენი (11), 1:2 ალექსანდრისი (37), 1:3 კატანი (40), 2:3 ნინიადისი (51), 3:3 ანცასი (79)

| | |
|---|---|
| ელეფთეროპულოსი, პაცაცოლლუ, ვენეტიდისი, ანცასი, იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, კარამბუ, დრაჩენა, ზეტერბერგი (ნინიადისი 46), ჯოვანი (ოფორი-კუიაე 69), ალექსანდრისი. მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი | ავატი, ხარაზი, ბენადო, ბადირი, კეისი, აიეგბენი, როსო, ზანო, კატანი (ზანდბერგი 69), ეჯიოფორი, პრალია. მწვრთნელი: იცხაკ შუმი |

ჯარიმა: 20-18; კუთხური: 8-2; კარისკენ დარტყმა: 9-2; კარში დარტყმა: 11-3; თამაშგარე: 2-3

# კატანეცის შანსი: არანაირი შანსი

**უეფას თასზე** გადასასვლელად საბერძნეთის ჩემპიონს ებრაულ „მაკაბისთან" გამარჯვება სჭირდებოდა. თან უბრალოდ მოგება კი არა, ოთხბურთიანი სხვაობით. ერთი სიტყვით, „ოლიმპიაკოსს" პირველ მატჩში ნაწვნევი მარცხისთვისაც (0:3) უნდა გაეცა ჰაიფელთათვის პასუხი.

საბოლოოდ სრეჩკო კატანეცის გუნდმა ისრაელის ჩემპიონს ვერაფერი დააკლო, თუმც ბევრს კი ეცადა. არადა, ვნახავ, რა აქვს ჩემს გუნდს გამოსასწორებელი და გამოვასწორებო — თავდაჯერებულად ამბობდა კატანეცი თამაშამდე.

თავად მატჩი კი მისთვის მოულოდნელად, მე-9 წუთზე ბადირის გოლით დაიწყო — მან ჯოვანი როსოს პასი შეიფერა.

ბერძნებმა თამაშის განახლება ხეირიანად ვერც მოასწრეს, რომ ებრაელთა ნიგერიელმა აიეგბენიმ „ოლიმპიაკოსის" დაცვის კიდევ ერთი შეცდომა გამოიყენა და ელეფთეროპულოსს ბადიდან ბურთი მეორედ გამოატანინა. მართალია, პირველივე ტაიმში ალექსანდრისმა პრედრაგ ჯორჯევიჩის პასით ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხა, მაგრამ სამიოდ წუთში კატანმა ისევ ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა და ბერძნებსაც მეორე ტაიმისთვის ისევ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ.

შესვენების მერე კი კატანეცის ბიჭებმა თამაში ყოჩაღად დაიწყეს. ჯერ 51-ე წუთზე ნანიადისმა დააქუხა შორიდან, 26 წუთში კი პარასკევას ანცასმა ანგარიში გაათანაბრა.

დრო კიდევ ბევრი იყო დარჩენილი და „ოლიმპიაკოსსაც" თითქოს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. თავისიანთათვის 3 ქულის მოტანა პირველი გოლის ავტორ ალექსანდრისს შეეძლო, თუმც ვერაფერი გააზერხა და ბერძნებიც ქულასა და ბოლო ადგილს დასჯერდნენ.

„პირველ მატჩში „ლევერკუზენს" რომ მოვუგეთ, მას მერე კარგად აღარ გვითამაშია. ახლა კი ყველაფერი დამთავრებულია" — გაწბილებას ვერ მალავდა თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ნანიადისი.

უკეთეს ხასიათზე არც კატანეცი იყო. „სტუმრებმა სამი მომენტიდან სამივე გამოიყენეს. ასე რომ, ჩვენ ჩვენი შანსი დასაწყისშივე გავუშვით" — თქვა სლოვენიელმა. ებრაელთა დამრიგებელმა იცხაკ შუმმა კი თავისი გუნდის უიღბლობაზე ილაპარაკა. მოგება შეგვეძლო, არ გაგვიმართლაო. მეტოქის თავდამსხმელებს ჩვენს საჯარიმოსთან თითქმის არ ვუშვებდით, გოლები კი მაინც გაგვიტანეს, მაგრამ არა უშავს, საბოლოოდ ჩვენმა ტაქტიკამ შედეგი მაინც გამოიღოო.

**სერგო ძორიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:8 | 15 |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| მაკაბი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 11:17 | 4 |

*„მანჩესტერი" და „ლევერკუზენი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „მაკაბი" უეფას თასზე*



REUTERS

პრედრაგ ჯორჯევიჩმა სტუმარს სახეზე ფეხი აფარა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. G ჯგუფი

## მილანი 1:2 დეპორტივო

მილანი. „სან სირო". 56 294 მაყურებელი მსაჯი: მაიკ რილი (ინგლისი)

1:0 ტომასონი (34), 1:1 ტრისტანი (58), 1:2 მაკაი (70)

| მილანი | დეპორტივო |
|---|---|
| აბიატი, პელეგი, შიმიჩი, მალდინი, კალაძე (აუბამეიანგი 85), დალა ბონა, პირლო, სერჟინიო, რუი კოშტა (ინძაგი 75), შევჩენკო, ტომასონი. მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი | ხუანმი, სკალონი, ექტორი, რომერო, კაპდევილა, მაურო სილვა, სერხიო, ფრანი (აკუნია 65), ტრისტანი, მაკაი (დუშერი 79), ლუკე (ამავისკა 56). მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა |

ჯარიმა: 11-13; კუთხური: 1-5; თამაშგარე: 0-6

# როგორი? ბრწყინვალე!
## ათქმევინა კალაძემ ხალხს

**ხავიერ ირურეტა** ბედნიერია და კვალავაც „სან სიროზე" დაბრუნებას ნატრობს — იმედი მაქვს, მილანში კიდევ ჩამოვალთ და მესამედაც გავამწარებთ მასპინძლებსო. ამის თქმის საფუძველიც ჰქონდა — „დეპორტივო" გუშინწინ მილანიდან მეორედ დაბრუნდა თავაწეული და გახარებული შინ. პირველად ლაკორუნიელებმა „შავ-წითლები" ორი წლის წინ შეარცხვინეს. მაშინ „მილანს" ალბერტო ძაკერონი წვრთნიდა. გალისიელებმა ფრე, 1:1 გაუგორეს და ჯგუფშიც ჩატოვეს. გუშინწინ მასპინძლებს ჯგუფში ჩარჩენა არ ემუქრებოდათ, პირიქით, შესაძლებელი იყო, ესპანელები თავად ჩარჩენილიყვნენ, მაგრამ... „დეპორტივო" ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეა და ხავიერ ირურეტაც დღევანდელ წილისყრას მოუთმენლად ელის. მიზეზი არ გაინტერესებთ? მას სურს, ერთ-ერთ მეტოქედ მილანის „ინტერი" ერგოს და თავში ნახსენებ მესამე მილანურ მატჩშიც ამას გულისხმობდა.

„მოგება გვინდოდა და თავიდანვე რისკიანი ტაქტიკა ავირჩიე, სტუმრად სამი ფორვარდით თამაში ცოტა ძნელია. მიხარია, რომ გამიმართლა. ბიჭების კმაყოფილი და მადლობელი ვარ. მათ თავი დადეს და დამსახურებულად მოიგეს" — ქაქანებდა თვალებანთებული ირურეტა ნამატჩევს პრესკონფერენციაზე.

„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ძირითადად გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე ილაპარაკა: „წინა ორ თვეში დიდებული ფეხბურთი ვითამაშეთ და შესაბამისი შედეგებიც მოვიმკეთ, ახლა კი ბოლო ექვსი მატჩიდან ოთხში დავმარცხდით. ერთი შეხედვით, ვითარებას საგანგაშო ეთქმის, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. „მილანს" რესურსები ჯერ არ ამოუწურავს. მე ბრწყინვალე ფეხბურთელები მყავს. მერწმუნეთ, გუნდი მალე ჩვეულად ათამაშდება და ეს კვირასვე მოხდება, სერია A-ს ტურში „სან სიროზე" „პარმას" ვმასპინძლობთ და იმედი მაქვს, დამწუხრებულს გავისტუმრებთ."

ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ „მილანმა" რომ 1996 წლის მერე ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩი პირველად დათმო, გახსოვდათ? მაშინ „შავ-წითლებს" „რუსენბორგმა" 2:1 მოუგო.

...ირურეტამ თამაში ტრისტან-მაკაი-ლუკეს ტრიოთი დაიწყო და „დეპორტივოც" მასპინძლებს მედგრად ეკვეთა. ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობაც სტუმრებმა იგდეს ხელთ, აბიატის კარში თითქოს გოლიც უნდა მომწიფებულიყო, მაგრამ იქით გაუშვეს: ბრწყინვალე პასი! ასეთი ეპითეტით შეამკო კახა კალაძის მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი „როიტერმა", ბურთს დანიელმა იონ დალ ტომასონმა თავი დაუხვედრა, მიმართულება უცვალა და ხუანმიც სახტად დატოვა. ეს 34-ე წუთზე მოხდა.

„დეპორტივომ" პირველი ტაიმი წააგო, ყველაფერი კი თურმე მეორეში უნდა მომხდარიყო. 58-ეზე დიეგო ტრისტანმა ბურთი მოიგდო, დაახლოებით ოცდაათიოდე მეტრიდან ძლიერად დაარტყა ქუხა და კრისტიან აბიატისაც კარის ცხრიანში იმისთანა გაუჭედა, თქვენი მოწონებული. ამჯერად „სან სირო", ანჩელოტი და „შავ-წითლები" დარჩნენ სახტად. იშტაზე მოსული ლაკორუნიელები კი ზეწოლას განაგრძობდნენ და 12 წუთში როი მაკაიმ გამარჯვებისა შეაგდო.

არიქ თამაშს ვაგებო და ახლა ანჩელოტიმ გადაწყვიტა სამი თავდამსხმელით თამაში: შევჩენკო-ტომასონს, რუი კოშტას ნაცვლად ფილიპო ინძაგიც მიამატა, მაგრამ „მილანს" თამაშის გადარჩენისა არაფერი ეტყობოდა. მასპინძლები უგერგილოდ უტევდნენ.



REUTERS

ლაკორუნიელებმა კრისტიან აბიატის კარიდან ბურთი ორჯერ გამოატანინეს

## ბაიერნი 3:3 ლანსი

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი". 22 000 მაყურებელი. მსაჯი: პოლ ალერტი (ბელგია)

1:0 ნ. კოვაჩი (6), 2:0 სალიჰამიჯიჩი (18), 2:1 ფინკი (20ს.კ.), 2:2 ბაკარი (54), 3:2 ფიულნერი (87), 3:3 ბლანშარი (90)

| ბაიერნი | ლანსი |
|---|---|
| ვესელსი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, ნ. კოვაჩი, შოლი (შვაინსტაიგერი 76), პიზარო (ელბერი 46), ციკლერი, ფიულნერი (ლამი 90). მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი | ვარმუზი, კულიბალი, რ. სონგი, ბაკი, რული (კეიტა 69), ბლანშარი, კორიდონი (ფეიე 29), სიბიერსკი, ბაკარი (ტომერი 76), უტაკა, მორეირა. მწვრთნელი: ჟოელ მიულერი |

ჯარიმა: 16-28; კუთხური: 7-3; კარისკენ დარტყმა: 11-3; კარში დარტყმა: 12-3; თამაშგარე: 1-6

# მეკარეს ბურთი ფაფა ეგონა

**ვაი,** სირცხვილო?! მიუნხენის „ბაიერნმა" ისე დაასრულა ლიგა, ერთი თამაშიც ვერ მოიგო. ოტმარ ჰიცფელდმა მატჩის წინ თქვა, ჩვენთვის ბუნდესლიგაღა დარჩა და ახლა სათადარიგოებმაც ითამაშონო.

ჰოდა, ითამაშეს თადარიგის ბიჭებმა რიგიანად, ხალისიანად და ფრანგებსაც არაფერი დაუთმეს, სამი გაუშვეს, სამი გაუტანეს და მერე რა, რომ ვერ მოიგეს.

„ლანსმა" კი მაქსიმუმი გააკეთა. ჟოელ მიულერი ამბობს, დასახულ მიზანს მივაღწიეთო: „კენჭისყრის შემდეგვე ვთქვი, ჯგუფში ისეთი მეტოქეები გვერგო, მეორე ეტაპზე გასვლაზე არც ვფიქრობ, მაქსიმუმ უეფას თასის საგზურისთვის თუ ვიბრძოლებთო". ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მიულერს აუხდა, „ლანსი" უეფას თასზე ითამაშებს, სახელოვანი „ბაიერნი" კი...

„ოლიმპიაშტადიონზე" კურიოზების წვიმა იდგა. გიიომ ვარმუზმა, ფრანგმა მეკარემ, ვერ შეიმაგრა ხელში ჰასან სალიჰამიჯიჩის არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი და საკუთარ კარში შეაგდო, მერე ტორსტენ ფინკმა დაუხვედრა მოხდენილად ფეხი სტუმართა მიერ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდებულ დაბალ ბურთს, ბოლოს კი ვარმუზმა კვლავ ვერ გააქვავა ბურთი, ნახტომში მოგერიებული გაუვარდა და ფორთხიალით გაეკიდა მას დასაუფლებლად.

მეჰმეთ შოლმა ორჯერ სტუმართა კარის ძელიც მოიკითხა, საბოლოოდ კი ტაბლოზე საბრძოლო ფრე — 3:3 დაფიქსირდა.

„უნდა მოგვეგო. ბოლოს და ბოლოს, მოგებათა გრაფაში ერთიანი უნდა ჩაგვეწერა, მაგრამ... ასეთი სუსტი შედეგი არასდროს მქონია. გუნდში ბევრი რამ შეიცვლება" — აცხადებს ჰიცფელდი.

ვერ გეტყვით, როდის და რა შეიცვლება „ბაიერნში", მაგრამ თავად ჰიცფელდი რომ არა, ფაქტია. მიუნხენელთა პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა ახლახან მწვრთნელს სრული ნდობა გამოუცხადა. მიუხედავად წარუმატებლობისა, მისი მჯერა და მინდა, „ბაიერნი" კვლავაც ოტმარ ჰიცფელდმა გაწვრთნასო. ესეც რომ არა, კონტრაქტი 2004 წლის ივნისამდე აკავშირებს და მისი მოხსნა აზრადაც არ მომსვლიაო.

**გიორგი გუგაძიძე**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 11:12 | 12 |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ბაიერნი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:13 | 2 |

„მილანი" და „დეპორტივო" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლანსი" უეფას თასზე



REUTERS

ჟოსელინ ბლანშარის (№15) ამ თავურს შტეფან ვესელსმა ვერაფერი მოუხერხა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. VI ტური. H ჯგუფი

## ბარსელონა 3:1 გალათასარაი

ბარსელონა. „კამპ ნოუ". 40 000 მაყურებელი. მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)

1:0 დანი (10), 1:1 ჯიჰანი (20), 2:1 ხერარდი (45), 3:1 ჯოვანი (56)

ენკე, რაიციგერი, პუიოლი (ტორტოლერო 61), დე ბური (ოლეგერი 86), ფ. ნავარო, მენდიეტა, ხერარდი, მოტა, სავიოლა, დანი, ჯოვანი (კლუივერტი 79)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

მონდრაგონი, სარი, ბიულენთი, ალმაგერი, უნსალი, ჯიჰანი (სუათი 46), ბატისტა (აიჰანი 61), ერგუნი, შაში, პინტუ, ბალიჩი (კრისტიანი 75)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი

ჯარიმა: 14-22; კუთხური: 2-5; კარისკენ დარტყმა: 3-2; კარში დარტყმა: 4-6; თამაშგარე: 7-5

## ლოკომოტივი 2:0 ბრიუგე

მოსკოვი. „ლოკომოტივი". 20 000 მაყურებელი. მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

1:0 ჟულიო სეზარი (44), 2:0 ლოსკოვი (90)

ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, პაშინინი, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი, ჟულიო სეზარი (ადამუ 90), ევსეევი, ბუზნიკინი
მწვრთნელი: იური სიომინი

ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, ვან დერ ჰიდენი, ბ. მარტენსი, კლემენტი, ვერჰეინი, ენგლებერტი, სტოიკა, მენდოსა, ს. მარტენსი
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

ჯარიმა: 15-18; კუთხური: 6-5; კარისკენ დარტყმა: 7-6; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 8-0



REUTERS

ბრაზილიელი ჯოვანის ბარსელონური მღლაყი

# ვან გაალის მრიცხველმა 6 ჩამოყარა

## იმპერატორის ვალები და დღეები დათვლილია

პირველი გუნდი, რომელმაც ლიგის არსებობის მანძილზე ჯგუფურ ეტაპზე ექვსივე მატჩი მოიგო, „მილანი" გახლდათ. მილანელთა რეკორდი შემდგომში პსჟ-მ და მოსკოვის „სპარტაკმა" გაიმეორეს. ახლა მათ მარაქაში „ბარსელონაც" გაერია.

ლუის ვან გაალმა მატჩამდე ბრძანა, დიდკაცებს დავასვენებო, მაგრამ ბოლო მომენტში სიტყვა გატეხა. „ბრიუგესთან" მატჩისგან განსხვავებით, ჰოლანდიელმა სასტარტო შემადგენლობაში გაისკა მენდიეტა და ხავიერ სავიოლა მაინც ათამაშა. „ბარსელონა" უფულობას არ უჩივის, თუმც ყოველი მოგებული შეხვედრის გამო უეფასგან მიღებული ათეულ ათასობით შვეიცარიული ფრანკი კლუბის ბიუჯეტს არ აწყენს.

„კამპ ნოუზე" შეკრებილმა 40 ათასამდე კატალონიელმა „ბარსას" მორიგი გამარჯვება იხილა. მასპინძელთა რიგებში განსაკუთრებით ბრაზილიელი ჯოვანი გამოირჩეოდა. ისედაც მისავათებული „გალათასარაის" დაცვამ კი მალევე დაიწყო ტკაცატკუცი და მეათე წუთზე გატყდა. ჯოვანიმ დანი გარსიას საჯარიმოში ბურთი წაუმძღვარა. ფორვარდმა ცოტა უხერხულად კი დაჰკრა, მაგრამ მონდრაგონისთვის მისი დარტყმული ასევე უხერხული მოსაგერიებელი აღმოჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა.

გაშვებულ გოლს თურქებმა ელვირ ბალიჩის სახიფათო ჯარიმით უპასუხეს. მისი დაკრული ენკემ უკუაგდო, ჰასან შაშმა კი ზუსტად ვერ დაამატა.

„გალა" გათამამდა და მეტოქის მისადგომებს გაუშინაურდა. ჰაქან უნსალმა მარცხნიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ჯიჰანის თავმა მცველებს დაასწრო — 1:1.

აქ ფათიჰ თერიმს ნერვიული ხელის ჭნევა დაეწყო, რადგან იცოდა, რომ მოსკოვში ფრე იყო, მის გუნდს კი თამაშის სათავისოდ შებრუნების შანსი გაუჩნდა.

„იმპერატორის" ისტერიებმა პირველი ტაიმის მიწურულს ახალი ძალით იფეთქა. ყოველივე ამის მიზეზი კი მასპინძელი მცველი კარლეს პუიოლი გამოდგა. მან სრულიად უწყინარ ვითარებაში ფრანკ დე ბურს უკან დაუგორა. ბალიჩმა რა თვალით შეხედა ტყუპისცალს, ალბათ მხოლოდ თავად იცის. ჰოლანდიელი მცველი დაეცა და ბურთი „გალას" ფორვარდს ნაჩუქარივით შერჩა. მის წინ მხოლოდ „ბარსელონას" კარი და მეკარე ენკე იდგნენ. ბალიჩმა, ალბათ, მოსალოდნელი სიხარულისგან, მთელი ჯიგარი ჩააქსოვა დარტყმაში. ისეთი დაამგვრა, რომ ბურთს „კამპ ნოუს" გარეთ კარგა ხანს ეძებდნენ. გახელებული ფათიჰ თერიმი წივილ-კივილით წამოფრინდა სკამიდან და პიჯაკის სახელოები ისე დაიკაპიწა, თითქოს ფეხბურთელისკენ საცემრად იწევსო. ეს იყო ურეალურესი მომენტი იმათგან, რომლებიც თურქებს შექმნათ მეტოქის საჯარიმოში.

ტაიმის მიწურულს ტიაგო მოტას ჩაწოდებულ კუთხურს ხერარდმა ზუსტად უთავაზა და თავისიანები დააწინაურა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა სიმშვიდე არ განელებულა. ჯოვანი ნამდვილად იმსახურებდა გოლის გატანას, რაც შეძლო კიდეც. მონდრაგონის კარს თითქოს არაფერი ემუქრებოდა, ბრაზილიელი ბურთს მიათრევდა. ბურთი თითქოს ეურჩებოდა, გაურბოდა და გაბრაზებულმა ჯოვანიმ ურჩს ისე შემოკრა ფეხი, ხელით რომ გემრიელ სილას გააწნავენ ჯიუტ ბავშვს. „ჯიუტი" გაფრინდა და მონდრაგონის კარში დაისადგურა.

„გალათასარაის" საჯარიმოში კიდევ არაერთხელ გაიელვა ხიფათმა, მაგრამ „ბარსელონა" სამს დასჯერდა და რეკორდიც გაიმეორა.

მარცხის შემდეგ თურქებმა ვალები დაითვალეს. აღმოჩნდა, რომ კლუბს ათეულობით მილიონი ვალი დაუგროვდა, რომლის ნაწილობრივ გასტუმრებასაც ლიგიდან მიღებული ფულით აპირებდნენ.

ლუის ვან გაალმა კი ბრძანა, რომ მადლიერია იმ გულშემატკივრების, რომლებიც კლუბს ბოლომდე ერთგულობენ.

# წითელი ბურთი გაგორდა

## მაციფარში ფეხბურთი იჯდა

თუ რუსული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, პირველი ჯგუფური ეტაპი ისე არ ჩაივლის, რომ მოსკოვში, ზამთრის პირას თეთრზე წითელი ერთხელ მაინც არ გაგორდეს. საერთოდ, როგორც კი წილისყრა დასრულდება, რუსთა თანაჯგუფელ მეტოქეებს ერთით მეტი საფიქრალი უჩნდებათ — როგორ ვითამაშოთ მოსკოვურ თოვლყინულჭყაპში? ამჯერად „ლოკომოტივის" სტადიონზე სრიალი ბედმა ბელგიურ „ბრიუგეს" არგუნა.

თოვდა. ხუთგრადუსიან ყინვაში მოედანი გადათეთრებულიყო და ფრანგმა მსაჯმა ალან სარსმაც წითელი ბურთი მოითხოვა.

სტუმრებს მეორე ადგილზე დასამკვიდრებლად ფრეც ხელს აძლევდათ. დარში და ხასხასა გაზონზე შეიძლება სხვაგვარადაც ეთამაშათ, მაგრამ სიცივემ მოძრაობისკენ უბიძგათ. ამიტომ ბელგიელები დაცვაში არ ჩამსხდარან. თვალი მეტოქის კარისკენ მიაპყრეს და მეშვიდე წუთზე ალან სტოიკამ ოვჩინიკოვის სიფხიზლე შეამოწმა.

ფეხბურთელები ფეხზე ძლივს იდგნენ, რაც ხშირ მოულოდნელ ვარდნა-ჯარიმებს იწვევდა. პირველად უხეშობისთვის დე კოკი გააფრთხილეს. ბურთ-მინდვრის ფერთა გამაში ალან სარსმა ყვითელი გაურია. მალე ბარათებში ანგარიში ლეკხეტომ გაათანაბრა.

მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში ბელგიელებს ანგარიშის გახსნის რეალური შანსი ჰქონდათ. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს „ბრიუგეს" ფორვარდმა თავური დაჰკრა. ბურთი მიწაზე დაეცა და კარში შევარდნას რომ ლამობდა, სწორედ მაშინ წაეპოტინა ოვჩინიკოვი, ფეხიც დაუსხლტა, თუმცა ბოლოწამს მაინც შეძლო მოგერიება.

„ლოკოს" ბრაზილიელი ფორვარდი ჟულიო სეზარი ხშირად აწუხებდა მცველებს. რამდენჯერმე წაუბრაზილიურა კიდეც, მაგრამ ყინულოვანი მოედანი კოპაკაბანას ქვიშრობებს არ წააგავდა. ალაგ-ალაგ წელსზევით მოშიშვლებულ რუს ქომაგებს სეზარის ლაბუცი ახელებდა. თუმცა იმ დროისთვის რა იცოდნენ, რომ ბრაზილიელი მათ გასახარებელს გაიტანდა.

გოლი ბირგერ მარტენსის შეცდომას მოჰყვა. მან რატომღაც ევსეევის პასს თვალი გააყოლა, ბურთი ჟულიო სეზარს მიუცუცქდა. სამხრეთამერიკელმა მოიხელთა, ვერლინდენს გასცდა და ანგარიში გახსნა. ეს ამბავი პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა და „ლოკომოტივი" ვალმოხდილი გაეშურა გასახდელისკენ.

შესვენების შემდეგ სტუმრები გასათანაბრებლად მოიმართნენ. უფრო ჯიქურ მიიწიეს მასპინძელთა სანახებზე, მაგრამ ევროგაზონებზე ნასწავლი ფეხბურთი ყინულზე ვერ გადაიტანეს. შეტევაში მოფუსფუსე ბელგიელებმა ზურგი მოიშიშვლეს და რუსთა კონტრიერიშებიც რამდენჯერმე გაეპარათ. ჟულიო სეზარს ორჯერ, ბუზნიკინსა და ობიორას თითოჯერ შეეძლოთ გოლების გატანა.

საბოლოო წერტილი მატჩს ლოსკოვმა მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე დაუსვა. მამინოვისგან ბურთი საჯარიმოს წინ მიიღო და კარში დაჰკრა. გზად ბურთი მცველის ფეხის გავლით ვერლინდენის კარში მიყუჩდა.

იური სიომინი: „მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დღეს გვერდში დაგვიდგა. ფეხბურთელებმა, მიუხედავად რთული კალენდრისა და ცუდი ამინდისა, მაინც იყოჩაღეს. ვფიქრობ, ეს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში. გაგვიმართლა, რომ პირველი გოლი ჩვენ გავიტანეთ. მეტოქე ვაიძულეთ, გახსნილიყო, რითაც მეორედაც ვისარგებლეთ."

ტრონდ სოლიედი: „უეჭველია, რომ გუნდის თამაშზე ცუდმა ამინდმა პირდაპირი გავლენა იქონია. თოვლმა ვითარება გაართულა და ფეხბურთელთა შესაძლებლობები შეზღუდა. სანამ გოლს გავუშვებდით, ბურთს კარგად ვაკონტროლებდით, მაგრამ „ლოკომოტივი" დაცვაში უშეცდომოდ თამაშობდა. ვფიქრობ, მასპინძლებმა გამარჯვება დაიმსახურეს."

**გაგა ხუციშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 13:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ბრიუგე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

„ბარსელონა" და „ლოკომოტივი" გადიდნენ მეორე ეტაპზე, „ბრიუგე" უეფას თასზე



REUTERS

რუსებმა სიხარულისგან მოსკოვურ ყინვაშიც ტანზე შემოიხიეს

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. I ჯგუფური ეტაპი. ყველა შედეგი, ყველა მეგოლე

## A ჯგუფი

**I ტური**

არსენალი 2:0 დორტმუნდი
1:0 ბერგკამპი (62), 2:0 ლიუნგბერგი (77)

ოსერი 0:0 პსვ ეინდჰოვენი

**II ტური**

დორტმუნდი 2:1 ოსერი
1:0 კოლერი (6), 2:0 ამოროზო (78), 2:1 მეარუეარი (83)

პსვ ეინდჰოვენი 0:4 არსენალი
0:1 ჟილბერტო სილვა (1), 0:2 ლიუნგბერგი (66), 0:3, 0:4 ანრი (81, 90)

**III ტური**

პსვ ეინდჰოვენი 1:3 დორტმუნდი
0:1 კოლერი (21), 0:2 როსიცკი (69), 1:2 ვან დერ შაფი (74), 1:3 ამოროზო (90)

ოსერი 0:1 არსენალი
0:1 ჟილბერტო სილვა (48)

**IV ტური**

დორტმუნდი 1:1 პსვ ეინდჰოვენი
1:0 კოლერი (10), 1:1 ბრუგინკი (47)

არსენალი 1:2 ოსერი
0:1 კაპო (8), 0:2 ფადიგა (27), 1:2 კანუ (53)

**V ტური**

პსვ ეინდჰოვენი 3:0 ოსერი
1:0 ბრუგინკი (34), 2:0 რომედალი (48), 3:0 რობენი (64)

დორტმუნდი 2:1 არსენალი
0:1 ანრი (18), 1:1 ჟილბერტო სილვა (38ა.გ.), 2:1 როსიცკი (62პ)

**VI ტური**

ოსერი 1:0 დორტმუნდი
1:0 მეარუეარი (76)

არსენალი 0:0 პსვ ეინდჰოვენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| ოსერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:7 | 7 |
| პსვ ეინდჰოვენი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |

„არსენალი" და „დორტმუნდი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ოსერი" უეფას თასზე

## B ჯგუფი

**I ტური**

ვალენსია 2:0 ლივერპული
1:0 აიმარი (20), 2:0 ბარახა (38)

ბაზელი 2:0 სპარტაკი
1:0 ჰ. იაკინი (50), 2:0 როსი (55)

**II ტური**

სპარტაკი 0:3 ვალენსია
0:1 ანგულო (6), 0:2 მისტა (71), 0:3 ხუან სანჩესი (85)

ლივერპული 1:1 ბაზელი
1:0 ბაროში (34), 1:1 როსი (43)

**III ტური**

ლივერპული 5:0 სპარტაკი
1:0 ჰესკი (7), 2:0 ჰიუპია (15), 3:0 ჰამანი (28), 4:0 დიაო (81), 5:0 ჰესკი (89)

ვალენსია 6:2 ბაზელი
1:0, 2:0 კარეუ (10, 13), 3:0 ფ. აურელიო (17), 4:0 ბარახა (28), 4:1 როსი (46), 5:1 აიმარი (58), 6:1 მისტა (60), 6:2 ჰ. იაკინი (90)

**IV ტური**

სპარტაკი 1:3 ლივერპული
1:0 დანიშევსკი (23), 1:1, 1:2, 1:3 ოუენი (29, 70, 90)

ბაზელი 2:2 ვალენსია
1:0 ერგაში (32), 1:1 ბარახა (36), 1:2 კურრო ტორესი (72), 2:2 ერგაში (90)

**V ტური**

ლივერპული 0:1 ვალენსია
0:1 რუფეტე (34)

სპარტაკი 0:2 ბაზელი
0:1 როსი (18), 0:2 ხიმენესი (89)

**VI ტური**

ვალენსია 3:0 სპარტაკი
1:0, 2:0 ხუან სანჩესი (38, 46), 3:0 ფ. აურელიო (78)

ბაზელი 3:3 ლივერპული
1:0 როსი (2), 2:0 ხიმენესი (22), 3:0 ატუბა (29), 3:1 მერფი (61), 3:2 შმიცერი (64), 3:3 ოუენი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 5 | 1 | 0 | 17:4 | 16 |
| ბაზელი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:12 | 9 |
| ლივერპული | 6 | 2 | 2 | 2 | 12:8 | 8 |
| სპარტაკი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:18 | 0 |

„ვალენსია" და „ბაზელი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლივერპული" უეფას თასზე

## C ჯგუფი

**I ტური**

გენკი 0:0 აეკ

რომა 0:3 რეალი
0:1 გუტი (41), 0:2 რაული (56), 0:3 გუტი (74)

**II ტური**

რეალი 6:0 გენკი
1:0 ზოკორა (44ა.გ.), 2:0 სალგადო (45), 3:0 ფიგუ (55პ), 4:0 გუტი (64), 5:0 ეელადესი (74), 6:0 რაული (76)

აეკ 0:0 რომა

**III ტური**

აეკ 3:3 რეალი
1:0 ცარტასი (6), 1:1 ზიდანი (15), 2:1 მალადენისი (25), 3:1 ნიკოლაიდისი (28), 3:2 ზიდანი (39), 3:3 გუტი (60)

გენკი 0:1 რომა
0:1 კასანო (81)

**IV ტური**

რეალი 2:2 აეკ
1:0, 2:0 მაკმანამანი (24, 43), 2:1 კაცურანისი (74), 2:2 სენტენო (86)

რომა 0:0 გენკი

**V ტური**

აეკ 1:1 გენკი
0:1 სონკი (22), 1:1 ლაკისი (30)

რეალი 0:1 რომა
0:1 ტოტი (27)

**VI ტური**

გენკი 1:1 რეალი
0:1 ტოტი (21), 1:1 სონკი (86)

რომა 1:1 აეკ
1:0 დელვეკიო (40), 1:1 სენტენო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 2 | 3 | 1 | 15:7 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 3 | 1 | 3:4 | 9 |
| აეკ | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 6 |
| გენკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2:9 | 4 |

„რეალი" და „რომა" გავიდნენ მეორე ეტაპზე, აეკი უეფას თასზე

## D ჯგუფი

**I ტური**

რუსენბორგი 2:2 ინტერი
0:1 კრესპო (33), 1:1, 2:1 კარადასი (52, 65), 2:2 კრესპო (79)

აიაქსი 2:1 ლიონი
1:0, 2:0 იბრაჰიმოვიჩი (1, 34), 2:1 ს. ანდერსონი (84)

**II ტური**

ლიონი 5:0 რუსენბორგი
1:0 კარიერი (6), 2:0 ვირლი (26), 3:0 ს. ანდერსონი (34), 4:0 ვირლი (45), 5:0 ლუინდულა (75)

ინტერი 1:0 აიაქსი
1:0 კრესპო (75)

**III ტური**

ინტერი 1:2 ლიონი
0:1 გოვუ (21), 0:2 ს. ანდერსონი (60), 1:2 კანავარო (73)

რუსენბორგი 0:0 აიაქსი

**IV ტური**

ლიონი 3:3 ინტერი
1:0 ს. ანდერსონი (21), 1:1 კასაბა (31ა.გ.), 2:1 კარიერი (44), 2:2, 2:3 კრესპო (56, 66), 3:3 ს. ანდერსონი (75)

აიაქსი 1:1 რუსენბორგი
1:0 იბრაჰიმოვიჩი (41), 1:1 ჟერლი (85პ)

**V ტური**

ინტერი 3:0 რუსენბორგი
1:0 რეკობა (31), 2:0 საარინენი (52ა.გ.), 3:0 კრესპო (72)

ლიონი 0:2 აიაქსი
0:1 პიენაარი (7), 0:2 ვან დერ ვაარტი (90)

**VI ტური**

რუსენბორგი 1:1 ლიონი
1:0 ბრატბაკი (69), 1:1 გოვუ (84)

აიაქსი 1:2 ინტერი
0:1, 0:2 კრესპო (50, 52), 1:2 ვან დერ ვაარტი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:8 | 11 |
| აიაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 8 |
| ლიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| რუსენბორგი | 6 | 0 | 4 | 2 | 4:12 | 4 |

„ინტერი" და „აიაქსი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლიონი" უეფას თასზე



**ვალერი აბრამიძე**
**სპარტაკი**
4 მატჩი, 297 წუთი,
დაჯარიმდა 7-ჯერ,
მასზე დაჯარიმდნენ 7-ჯერ,
1 ყვითელი ბარათი

**კახა კალაძე**
**მილანი**
6 მატჩი, 470 წუთი,
2 საგოლე პასი, 1 თამაშგარე,
დაჯარიმდა 8-ჯერ,
მასზე დაჯარიმდნენ 6-ჯერ



## E ჯგუფი

**I ტური**

ფეიენოორდი 1:1 იუვენტუსი
0:1 კამორანეზი (32), 1:1 ვან ჰოიდონკი (75)

დინამო 2:0 ნიუკასლი
1:0 შაცკიხი (17), 2:0 ხაცკევიჩი (62)

**II ტური**

ნიუკასლი 0:1 ფეიენოორდი
0:1 პარდო (4)

იუვენტუსი 5:0 დინამო
1:0 დი ვაიო (14), 2:0 დელ პიერო (22), 3:0 დი ვაიო (52), 4:0 დავიდსი (67), 5:0 ნედვედი (79)

**III ტური**

იუვენტუსი 2:0 ნიუკასლი
1:0, 2:0 დელ პიერო (66, 81)

ფეიენოორდი 0:0 დინამო

**IV ტური**

ნიუკასლი 1:0 იუვენტუსი
1:0 გრიფინი (62)

დინამო 2:0 ფეიენოორდი
1:0 ხაცკევიჩი (16), 2:0 ბელკევიჩი (47)

**V ტური**

იუვენტუსი 2:0 ფეიენოორდი
1:0, 2:0 დი ვაიო (4, 69)

ნიუკასლი 2:1 დინამო
0:1 შაცკიხი (47), 1:1 სპიდი (58), 2:1 შირერი (69პ)

**VI ტური**

ფეიენოორდი 2:3 ნიუკასლი
0:1 ბელამი (45), 0:2 ვიანა (49), 1:2 ბომბარდა (65), 2:2 ლურლინგი (71), 2:3 ბელამი (90)

დინამო 1:2 იუვენტუსი
1:0 შაცკიხი (50), 1:1 სალასი (53), 1:2 ზალაიეტა (61)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 13 |
| ნიუკასლი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| დინამო | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ფეიენოორდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:8 | 5 |

„იუვენტუსი" და „ნიუკასლი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „დინამო" უეფას თასზე

## F ჯგუფი

**I ტური**

მანჩესტერი 5:2 მაკაბი
0:1 კატანი (8), 1:1 გიგზი (10), 2:1 სოლსკიაერი (35), 3:1 ვერონი (46), 4:1 ვან ნისტელროი (54), 4:2 კოენი (85), 5:2 ფორლანი (89პ)

ოლიმპიაკოსი 6:2 ლევერკუზენი
0:1 შნაიდერი (22), 1:1 კლაინი (27ა.გ.), 2:1 იანკოპულოსი (38), 3:1, 4:1, 5:1 ჯორჯევიჩი (44, 64პ, 73), 5:2 შნაიდერი (78პ), 6:2 ზეტერბერგი (87)

**II ტური**

ლევერკუზენი 1:2 მანჩესტერი
0:1, 0:2 ვან ნისტელროი (31, 44), 1:2 ბერბატოვი (52)

მაკაბი 3:0 ოლიმპიაკოსი
1:0, 2:0, 3:0 აიეგბენი (27პ, 60, 86)

**III ტური**

მაკაბი 0:2 ლევერკუზენი
0:1, 0:2 ბაბიჩი (31, 64)

მანჩესტერი 4:0 ოლიმპიაკოსი
1:0 გიგზი (19), 2:0 ვერონი (26), 3:0 გიგზი (66), 4:0 სოლსკიაერი (77)

**IV ტური**

ლევერკუზენი 2:1 მაკაბი
1:0 ბაბიჩი (45), 1:1 პრალია (73), 2:1 ფრანსი (67)

ოლიმპიაკოსი 2:3 მანჩესტერი
0:1 ბლანი (21), 0:2 ვერონი (59), 1:2 ხუტოსი (70), 2:2 ჯორჯევიჩი (74), 2:3 სქოულზი (84)

**V ტური**

მაკაბი 3:0 მანჩესტერი
1:0 კატანი (40), 2:0 ოსტოიჩიჩი (56), 3:0 აიეგბენი (77პ)

ლევერკუზენი 2:0 ოლიმპიაკოსი
1:0 ფრანსი (14), 2:0 შნაიდერი (90პ)

**VI ტური**

მანჩესტერი 2:0 ლევერკუზენი
1:0 ვერონი (42), 2:0 ვან ნისტელროი (69)

ოლიმპიაკოსი 3:3 მაკაბი
0:1 ბადირი (9), 0:2 აიეგბენი (10), 0:3 კატანი (41), 1:3 ალექსანდრისი (37), 2:3 ნინიადისი (51), 3:3 ანცასი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 16:8 | 15 |
| ლევერკუზენი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| მაკაბი | 6 | 2 | 1 | 3 | 12:12 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 1 | 4 | 11:17 | 4 |

„მანჩესტერი" და „ლევერკუზენი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „მაკაბი" უეფას თასზე

## G ჯგუფი

**I ტური**

ბაიერნი 2:3 დეპორტივო
0:1, 0:2 მაკაი (12, 45), 1:2 სალიჰამიჯიჩი (57), 2:2 ელბერი (64), 2:3 მაკაი (77)

მილანი 2:1 ლანსი
1:0, 2:0 ინძაგი (57, 61), 2:1 მორეირა (75)

**II ტური**

ლანსი 1:1 ბაიერნი
0:1 ლინკე (23), 1:1 უტაკა (76)

დეპორტივო 0:4 მილანი
0:1 ზეედორფი (17), 0:2, 0:3, 0:4 ინძაგი (33, 55, 62)

**III ტური**

დეპორტივო 3:1 ლანსი
0:1 მორეირა (10), 1:1 მაკაი (49), 2:1 კაპდევილა (79), 3:1 სერხიო (84)

ბაიერნი 1:2 მილანი
0:1 ინძაგი (52), 1:1 პისარო (54), 1:2 ინძაგი (84)

**IV ტური**

ლანსი 3:1 დეპორტივო
0:1 მაკაი (15), 1:1 კულიბალი (61), 2:1 მორეირა (79), 3:1 ტომერი (84)

მილანი 2:1 ბაიერნი
1:0 სერჯინიო (11), 1:1 ტარნატი (23), 2:1 ინძაგი (64)

**V ტური**

დეპორტივო 2:1 ბაიერნი
1:0 ვიქტორი (54), 1:1 სანტა კრუზი (77), 2:1 მაკაი (89)

ლანსი 2:1 მილანი
0:1 შევჩენკო (31), 1:1 მორეირა (41), 2:1 უტაკა (49)

**VI ტური**

ბაიერნი 3:3 ლანსი
1:0 ნ. კოვაჩი (6), 2:0 სალიჰამიჯიჩი (19), 2:1 ფინკი (20ა.გ.), 2:2 ბაკარი (54), 3:2 ფეულნერი (87), 3:3 ბლანშარი (90)

მილანი 1:2 დეპორტივო
1:0 ტომასონი (34), 1:1 ტრისტანი (58), 1:2 მაკაი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| დეპორტივო | 6 | 4 | 0 | 2 | 11:12 | 12 |
| ლანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:11 | 8 |
| ბაიერნი | 6 | 0 | 2 | 4 | 9:13 | 2 |

„მილანი" და „დეპორტივო" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ლანსი" უეფას თასზე

## H ჯგუფი

**I ტური**

ლოკომოტივი 0:2 გალათასარაი
0:1 სარი (72), 0:2 არიფი (81)

ბარსელონა 3:2 ბრიუგე
1:0 ლუის ენრიკე (5), 1:1 სიმონსი (22პ), 2:1 მენდიეტა (40), 3:1 სავიოლა (44), 3:2 ენგლებერტი (85)

**II ტური**

ბრიუგე 0:0 ლოკომოტივი

გალათასარაი 0:2 ბარსელონა
0:1 კლუივერტი (27), 0:2 ლუის ენრიკე (69)

**III ტური**

ლოკომოტივი 1:3 ბარსელონა
0:1 კლუივერტი (29), 0:2, 0:3 სავიოლა (32, 49), 1:3 ობიორა (56)

გალათასარაი 0:0 ბრიუგე

**IV ტური**

ბრიუგე 3:1 გალათასარაი
1:0 ს. მარტენსი (45), 1:1 პინტუ (56), 2:1 ვერჰეიენი (72), 3:1 მარტენსი (90)

ბარსელონა 1:0 ლოკომოტივი
1:0 დე ბური (76)

**V ტური**

გალათასარაი 1:2 ლოკომოტივი
0:1 ლოსკოვი (70), 1:1 შაში (73), 1:2 ევსეევი (75)

ბრიუგე 0:1 ბარსელონა
0:1 რიკელმე (64)

**VI ტური**

ლოკომოტივი 2:0 ბრიუგე
1:0 ჟულიო სეზარი (44), 2:0 ლოსკოვი (90)

ბარსელონა 3:1 გალათასარაი
1:0 დანი (10), 1:1 ჯიჰანი (20), 2:1 ხერარდი (44), 3:1 ჯოვანი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 13:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ბრიუგე | 6 | 1 | 2 | 3 | 5:7 | 5 |
| გალათასარაი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |

„ბარსელონა" და „ლოკომოტივი" გავიდნენ მეორე ეტაპზე, „ბრიუგე" უეფას თასზე

# მოფარფატე გენიოსი

*ეს 22 წლის ბიჭი გერმანიის ჩემპიონია, თავის დროზე „დორტმუნდმა" ის 20 მილიონ მარკად იყიდა.*

*ის უკვე ვარსკვლავი და მრავალთა კერპია...*

*მას ტომაშ როსიცკი ჰქვია, კაფანდარა და გალეული, მაგრამ ნამდვილი რაკეტაა ნათელი თავით.*

*ჩეხ პლეიმეიკერს „დორტმუნდის" საკლუბო ჟურნალმა ჩამოართვა ინტერვიუ. საუბარი, ცხადია, ფეხბურთზეა და ცხოვრებაზეც, როსიცკის ცხოვრებაზე და მის თავისებურებებზე*





**— თქვენ ახლახან 22 წლის გახდით და რა არის მთავარი განსხვავება თქვენსა და თქვენს თანატოლებს შორის?**

— ძნელი სათქმელია. მაგრამ ვფიქრობ, არანაირი განსხვავება არაა. მე ჩვეულებრივი ბიჭი ვარ, 22 წლის, რომელიც უბრალოდ ფეხბურთს თამაშობს.

**— გაზეთმა „დი ველტმა" თქვენზე დაწერა: „სადაც კი ის მიდის, პოპვარსკვლავის გამოჩენას გვაგონებს". ღიზიანდებით, როცა გოგოებს თქვენს დანახვაზე ბნედა ემართებათ თუ ცოტა არ იყოს გსიამოვნებთ, ასეთი პირმოთნეობა?**

— არა, ეს სრულებით არ მაღიზიანებს. თანაც აქ, გერმანიაში ასეთი კეკლუცობები ზღვარგადასული არ არის. ზოგიერთი ფეხბურთელისგან ვიცი, რომ მაგალითად, იტალიაში, ვითარება სხვაგვარია. გარდა ამისა, რომელი კაცი არ არის ბედნიერი, როცა მას გოგოები თვალს აყოლებენ?

**— ბევრ ადამიანს, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ და ვარსკვლავად იქცნენ, შენიშნავდით, რომ ხალხის მხრიდან ასეთი პირმოთნეობა ადრე თუ გვიან თავში უვარდება. თქვენ კი ჯერაც ძალიან თავმდაბალი ხართ. როგორ ახერხებთ დარჩეთ კეთილგონიერი?**

— ძალიან მარტივად. მე კარგი მეგობრები მყავს და ისინი ყოველთვის მიმითითებენ თუ თავში ამივარდება. ფეხბურთი ჩემთვის დიდი გართობაცაა და სამუშაოც. ვიცი, როგორ უნდა შევუსაბამო თუ განვაცალკევო კარიერა პირადი ცხოვრებისგან. საფეხბურთო ორომტრიალის გარეთ სიმყუდროვე, სიმშვიდე მიყვარს. საჯაროობისკენ არ მივილტვი.

**— თქვენი ყველაზე დიდი კრიტიკოსი?**

— მამა. როცა დორტმუნდში ჩამოვედი პირველ სეზონში ის აქ ჩემთან ცხოვრობდა. ახლა კი ხშირად მოდის სტუმრად. დარწმუნებული ვარ, მამა ჩემით ძალიან ამაყობს, თუმცა ყოველთვის ძალიან მცირე დოზით მაქებს-ხოლმე. ასე იყო მაშინაც, როცა პატარა ბიჭი ვიყავი. თუ კარგად ვითამაშებდი, სახლში დაბრუნებულს მაინც სულ რაღაცს მიხსნიდა — ესა და ეს უკეთ შეგეძლო გაგეკეთებინაო. ვფიქრობ, ჩემთვის ძალიან კარგი გაკვეთილები იყო. მამაჩემი ახლაც მიმითითებს იმაზე, თუ რა უნდა გავაუმჯობესო.

**— ერთხელ თქვით, რომ საწვავში ბევრ ფულს ხარჯავთ. თქვენ ალბათ რურის გზატკეცილზე ხშირად დააგელვებთ მანქანას...**

— არა, მე ჩეხეთში მანქანით წასვლა-მოსვლას ვგულისხმობდი. 700 კილომეტრიანი დისტანციის აქეთ-იქით გავლით საშინლად ვიღლებოდი და აღარ ვაპირებ ამის ხელმეორედ გაკეთებას. როგორც გითხარით, თავისუფალ დროს სიმყუდროვეში ვატარებ, შინ ყოფნით ვნებივრობ, გარეთ იშვიათად გავდივარ. შემიძლია, რამდენიმე საათი კომპიუტერთან ვიჯდე, ეს ჩემი ჰობია.

**— სულიერი მეგობარი ყველას ჭირდება. ვისთან საუბრობთ პირად პრობლემებზე და განსაკუთრებულ საფეხბურთო მომენტებზე?**

— ძმასთან. ის ჩემზე სამი წლით უფროსია და ჩემი საუკეთესო მეგობარია. შემიძლია მას ყველაფერი ვუთხრა. ფეხბურთს ისიც თამაშობს, ოღონდ ისე, თავისთვის, თუმცა შეუძლია იმ პრობლემებს გაუგოს, რაც მე მუშაობისას მხვდება. ამ მხრივ ჩემი მწვრთნელი მათიას ზამერიც უნდა ვახსენო — მისი რჩევები ძალიან ფასეულია.

**— მეგობრობის თემაზე შევჩერდეთ — თქვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გაქვთ იან კოლერთან. გარდა იმისა, რომ თანამემამულენი ხართ, კიდევ რა გაკავშირებთ?**

— ის ჩემზე ერთი წლით გვიან მოვიდა „დორტმუნდში" და აქაურობასთან შეგუებაში ვეხმარებოდი. თუმც მანამდე, ჩეხეთის ეროვნულ გუნდში თამაშისას ვიცოდი, რომ ის კარგი ბიჭია. იანი 29 წლისაა, მაგრამ გაცილებით ახალგაზრდული ტიპია. მასთან არ მოიწყენ. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ ვგევართ. ჩემსავით მშვიდია და კომპიუტერი უყვარს, მაგრამ როცა კომპიუტერით ვეჯიბრები ფეხბურთში, ორი კი არა, ოცი კაცივით ვხმაურობთ. ისე, იანი უფრო ხმაურობს, რადგან ბრაზობს, რომ ჩემთან ყოველთვის აგებს.

**— არ გსურთ მომავალში გაიხედოთ? როგორ იცხოვრებს ტომაშ როსიცკი ათი წლის შემდეგ?**

— ათი წლის შემდეგ? მაშინ მე 32 წლის ვიქნები! ამის წარმოდგენა ჩემთვის შეუძლებელია. ისე კი, მომავალზე ბევრს არ ვფიქრობ. მსურს ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება წინ წავიწიო. ამაზე შორს ამ მომენტისთვის ნაღდად არ ვიხედები.

**— საპირისპირო კითხვას დაგისმევთ — რა იქნებოდა თქვენი ცხოვრება დღეს, პროფესიონალი ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავით?**

— ალბათ მაინც პროფესიონალი ვიქნებოდი, ოღონდ სპორტის სხვა სახეობაში — ჰოკეი, ჩოგბურთი, კალათბურთი... რადგან ძალიან სპორტული ტიპი ვარ. შვებულების დროსაც კი იმით ვარ დაკავებული, რაც სპორტს უკავშირდება. მეტოქეობა რომ უყვართ, ეგეთი ტიპი ვარ.

**— რისი გეშინიათ?**

— ავადმყოფობის, როცა ჯანზე არ ვარ, ფეხბურთსაც ვერ ვთამაშობ.

**— რა იყო თქვენს ცხოვრებაში ისეთი, რასაც ყველაზე მეტად ნანობთ?**

— არაფერი, არასდროს არაფერი მინანია.

**— როცა სამშობლოში ჩადიხართ, ყველაზე უფრო მოუთმენლად რას ელით?**

— ჩემს გელფრენდ რადკასთან შეხვედრას. ის იქ ცხოვრობს და მოდელად მუშაობს. ისიც ჩემსავით ბევრს მოგზაურობს, რის გამოც ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ.

**— წინა სეზონთან შედარებით რამდენად მოუმატეთ?**

— უკეთესი გავხდი, მეტი თავდაჯერებულობა მაქვს.

**— დროთა განმავლობაში თქვენ უფრო ხისტი ფეხბურთელი გახდით...**

— დიახ, უკვე ორი წელია გერმანიაში ვარ, ხოლო ბუნდესლიგაში ძალიან ხისტად თამაშობენ. იძულებული ვიყავი ამას შევჩვეოდი. ახლა უკვე საკმაოდ კარგად ვარ შეგუებული. ამასთანავე უკან უფრო ხშირად ჩავდივარ და ამავე დროს უფრო მეტს ვუტევ. შემიძლია ვთქვა, რომ უფრო აგრესიული გავხდი და ვგრძნობ, ეს კარგია.

**— ამ სეზონში თქვენი მთავარი მიზანი რა არის?**

— ჩემპიონთა ლიგის მოგება.

**— ეროვნულ გუნდში 2000 წლიდან თამაშობთ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ნაკრები?**

— ჩემი ქვეყნისთვის 14 წლის ასაკიდან ვთამაშობ — მაშინ თექვსმეტწლამდელთა ნაკრებში ვიყავი. ეროვნული გუნდის წევრობა დიდი პატივია.

**— არცთუ იშვიათად თქვენ გენიოსად მოგიხსენიებენ ხოლმე...**

— ალბათ იმიტომ, რომ ხალხი ფიქრობს, მე ფეხბურთს ადვილად ვთამაშობ, დავფარფატებ.

**— ყველა გენიოსს აქვს ახირება, თქვენ?**

— გენიოსობისა რა მოგახსენოთ, ისე კი ჩემი ახირება შოკოლადია.

**— თქვენი ნიჭის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ რა არის ის, რაც უცნობია: ფეხბურთის გარდა კიდევ რა გეხერხებათ ყველაზე კარგად?**

— შოკოლადის ჭამა.

**თარგმნა დავით თავართქილაძემ**



ტომაშ როსიცკი და იან კოლერი

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
Zeus
- ქიი 47 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 181 GEL
- ქიის თარო 24 GEL
| 18.30 | 2519 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2520 | ჰანოვერი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2521 | ჰანზა-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2522 | ლევერკუზენი-გლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 2523 | დორტმუნდი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2524 | არსენალი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2525 | ჩელსი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2526 | სიტი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2527 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2528 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2529 | ბოლონია-პერუჯა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2530 | რომა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2531 | ვილიარეალი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 2532 | დეპორტივო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 17 ნოემბერი | | | |
| 20.30 | 2533 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 2534 | ბოხუმი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2535 | ლივერპული-სანდერლენდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2536 | ბირმინგემი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2537 | ბლეკბერნი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 2538 | ლიდსი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 2539 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2540 | ატალანტა-ბრეშა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2541 | კომო-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2542 | ემპოლი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2543 | მილანი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2544 | მოდენა-პიაჩენცა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 2545 | უდინეზე-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2546 | ტორინო-იუვენტუსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2547 | ბილბაო-რაიო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2548 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2549 | ოსასუნა-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2550 | ვალიადოლიდი-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2551 | რასინგი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 2552 | ალავესი-უელვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 2553 | რეალი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 2554 | ბეტისი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | |
| 18.30 | 2417 | კოტბუსი-არმინია | 1,85 | 1,95 |
| 18.30 | 2418 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 2419 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,2 | 4,0 |
| 18.30 | 2420 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,95 | 1,85 |
| 18.30 | 2421 | ჰანზა-შტუტგარტი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 2422 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,0 |
| 18.30 | 2423 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 2424 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 2425 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 2426 | სიტი-ჩარლტონი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 2427 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 2428 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 1,9 | 1,9 |
| 21.00 | 2429 | ბოლონია-პერუჯა | 1,45 | 2,8 |
| 23.30 | 2430 | რომა-ინტერი | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2431 | ვილიარეალი-სევილია | 1,7 | 2,2 |
| 00.30 | 2432 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,8 | 2,0 |
| | | 17 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2433 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,35 | 3,2 |
| 20.30 | 2434 | ბოხუმი-შალკე | 1,85 | 1,95 |
| 18.00 | 2435 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,3 | 3,4 |
| 19.00 | 2436 | ბირმინგემი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 2437 | ბლეკბერნი-ევერტონი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2438 | ლიდსი-ბოლტონი | 1,4 | 3,0 |
| 20.05 | 2439 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 2,5 | 1,55 |
| 18.00 | 2440 | ატალანტა-ბრეშა | 1,75 | 2,1 |
| 18.00 | 2441 | კომო-ლაციო | 2,3 | 1,65 |
| 18.00 | 2442 | ემპოლი-რეჯინა | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2443 | მილანი-პარმა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 2444 | მოდენა-პიაჩენცა | 1,65 | 2,3 |
| 18.00 | 2445 | უდინეზე-კიევო | 1,8 | 2,0 |
| 23.30 | 2446 | ტორინო-იუვენტუსი | 2,6 | 1,5 |
| 20.00 | 2447 | ბილბაო-რაიო | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 2448 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2449 | ოსასუნა-ვალენსია | 2,6 | 1,5 |
| 20.00 | 2450 | ვალიადოლიდი-მალაგა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2451 | რასინგი-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 2452 | ალავესი-უელვა | 1,5 | 2,6 |
| 22.00 | 2453 | რეალი-სოსიედადი | 1,4 | 3,0 |
| 23.30 | 2454 | ბეტისი-სელტა | 1,65 | 2,3 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | |
| 18.30 | 2217 | კოტბუსი-არმინია | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 2218 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2219 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 2220 | ჰანოვერი-ჰერტა | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2221 | ჰანზა-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2222 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2223 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2224 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2225 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2226 | სიტი-ჩარლტონი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2227 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2228 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2229 | ბოლონია-პერუჯა | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2230 | რომა-ინტერი | 1,9 | 1,7 |
| 23.30 | 2231 | ვილიარეალი-სევილია | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 2232 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| | | 17 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2233 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2234 | ბოხუმი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 2235 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2236 | ბირმინგემი-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2237 | ბლეკბერნი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2238 | ლიდსი-ბოლტონი | 1,85 | 1,75 |
| 20.05 | 2239 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2240 | ატალანტა-ბრეშა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2241 | კომო-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2242 | ემპოლი-რეჯინა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2243 | მილანი-პარმა | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 2244 | მოდენა-პიაჩენცა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 2245 | უდინეზე-კიევო | 1,95 | 1,65 |
| 23.30 | 2246 | ტორინო-იუვენტუსი | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2247 | ბილბაო-რაიო | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2248 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2249 | ოსასუნა-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2250 | ვალიადოლიდი-მალაგა | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 2251 | რასინგი-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2252 | ალავესი-უელვა | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2253 | რეალი-სოსიედადი | 2,1 | 1,55 |
| 23.30 | 2254 | ბეტისი-სელტა | 1,9 | 1,7 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.11 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (XIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 19.00 | 2602 | ინგლისი პლ. (XIV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 21.00 | 2603 | იტალია "A" (X ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (X ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 01.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (XI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9, | 25 ან მეტი – 1,9 |
| 15.11 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (XII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9, | 27 ან მეტი – 1,9 |
| 16.11 15.30 | 2608 | თურქეთი. (XIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9, | 28 ან მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 18.30 | 2117 | კოტბუსი-არმინია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.30 | 2118 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 2119 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 20,0 | 10,0 | 15,0 |
| 18.30 | 2120 | ჰანოვერი-ჰერტა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 2121 | ჰანზა-შტუტგარტი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 2122 | ლევერკუზ.-მ.გლადბახი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 2123 | დორტმუნდი-მიუნხენი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 2124 | არსენალი-ტოტენჰემი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2125 | ჩელსი-მიდლსბრო | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 19.00 | 2126 | სიტი-ჩარლტონი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 19.00 | 2127 | ნიუკასლი-საუთჰემპტ. | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 2128 | ვ.ბრომვიჩი-ასტონ.ვილა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 2129 | ბოლონია-პერუჯა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.30 | 2130 | რომა-ინტერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.30 | 2131 | ვილიარეალი-სევილია | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.30 | 2132 | დეპორტ.-ბარსელონა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| | | 17 ნოემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 2133 | ვერდერი-კ.ლაუტერნი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 20.30 | 2134 | ბოხუმი-შალკე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2135 | ლივერპ.-სანდერლენდი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,3 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 10,0 | 15,0 |
| 19.00 | 2136 | ბირმინგემი-ფულემი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 2137 | ბლეკბერნი-ევერტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 19.00 | 2138 | ლიდსი-ბოლტონი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.05 | 2139 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,7 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 18.00 | 2140 | ატალანტა-ბრეშა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 2141 | კომო-ლაციო | 5,6 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 2142 | ემპოლი-რეჯინა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2143 | მილანი-პარმა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 2144 | მოდენა-პიაჩენცა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2145 | უდინეზე-კიევო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.30 | 2146 | ტორინო-იუვენტუსი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,7 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 20.00 | 2147 | ბილბაო-რაიო | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2148 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 2149 | ოსასუნა-ვალენსია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 2150 | ვალიადოლიდი-მალაგა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 20.00 | 2151 | რასინგი-მალიორკა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 2152 | ალავესი-უელვა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 22.00 | 2153 | რეალი-სოსიედადი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,1 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.30 | 2154 | ბეტისი-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 16 ნოემბერი | | |
| 18.30 | 2317 | კოტბუსი-არმინია | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2318 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2319 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 2320 | ჰანოვერი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2321 | ჰანზა-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2322 | ლევერკუზენი-გლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2323 | დორტმუნდი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2324 | არსენალი-ტოტენჰემი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2325 | ჩელსი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2326 | სიტი-ჩარლტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2327 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2328 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2329 | ბოლონია-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2330 | რომა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2331 | ვილიარეალი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2332 | დეპორტივო-ბარსელონა | 1,55 | 2,1 |
| | | 17 ნოემბერი | | |
| 20.30 | 2333 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 2334 | ბოხუმი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2335 | ლივერპული-სანდერლენდი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2336 | ბირმინგემი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2337 | ბლეკბერნი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2338 | ლიდსი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 2339 | ვესტ ჰემი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2340 | ატალანტა-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2341 | კომო-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 2342 | ემპოლი-რეჯინა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2343 | მილანი-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2344 | მოდენა-პიაჩენცა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2345 | უდინეზე-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2346 | ტორინო-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2347 | ბილბაო-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2348 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2349 | ოსასუნა-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 2350 | ვალიადოლიდი-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2351 | რასინგი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2352 | ალავესი-უელვა | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2353 | რეალი-სოსიედადი | 1,6 | 2,0 |
| 23.30 | 2354 | ბეტისი-სელტა | 1,7 | 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჰიუიტი პირველია, მეოთხეა, მეშვიდეა
## ბაზელით შეგულიანებული ფედერერი სამპრასს ემსგავსება



ხუან კარლოს ფერეროშ ანდრე აგასი შანხაიდან გაისტუმრა

**MASTERS CUP შანხაი**
**საპრიზო 3,7 მილიონი $**

### წითელი ჯგუფი

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:4, 2:6, 6:4**

21 წლის ლეიტონ ჰიუიტი წლევანდელ სეზონს კვლავ რბოლის ჩემპიონად დაასრულებს. უმთავრესი ის არის, რომ ამ ციბრუტივით მობზრიალე, მარდმა და ჯიგრიანმა ოზბიჭმა ზედიზედ მეორეჯერ მოახერხა, სასეზონო ჩემპიონთა რბოლა უპირველეს მექულედ გაესრულებინა. მის მიერ მარატ საფინის ძლევის შემდეგ, რაიც ერთგვარი რევანში იყო ამ ორიოდ კვირის წინ პარიზული მასტერსტურნირის ფინალში ნაწვნევი მარცხის გამო, მასსა და მეორეადგილოსან აგასის შორის ქულათა სხვაობა უკვე 128-ს აღწევს. ეს სხვაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შემცირდება, თუკი ჯადო არმენიამერიკელი კარს გაიჯახუნებს და უკანასკნელ ჯგუფურ მატჩში როჯერ ფედერერს დაამარცხებს. შეგახსენებთ, რომ თითო ჯგუფური მატჩის მოგება (120 ათას დოლართან ერთად) 20 ქულად ფასობს.

თუმცა ახლა სარბოლო ქულების დათვლაზე მეტად ჰიუიტს ის აინტერესებს, სეტთა და გეიმთა როგორი ბალანსი მოუგროვდება დღეს ალბერტ კოსტას, ვინაც ნახევარფინალში უკვე თავდაგულებულ თვისტომ კარლოს მოიას უნდა ერკინოს. ლეიტონმა ჯერ კიდევ გუშინწინ თხოვა ესპანელებს, რათა მათ ბოლო ტურში კაცურად, ყოველგვარი ხიმანკლობის გარეშე ითამაშონ და ერთმანეთში უმჯობეს-უარესიც ჰალალად გამოარკვიონ.

მოიამაც აღუთქვა ჰიუიტს, რომ კოსტას წინააღმდეგ ის უშელავათოდ გაირჯება. „მსურს, ნახევარფინალში სამმატჩმოგებული გავიდე — თქვა მან — ყველას ვარწმუნებ, რომ ვისაც არ უნდა ვეთამაშო, მაინც 100 პროცენტით დავიხარჯები".

ვითარება კი ამგვარია — კოსტამ რაგინდარა ანგარიშითაც არ უნდა იმარჯვოს, ნახევარფინალში სწორედ ის გავა და არა ჰიუიტი, რადგან მასზე ერთით მეტი მოგებული სეტი ექნება.

საკუთრივ შეხვედრაზე კი რა გითხრათ — საფინი საკუთარ თავს მხოლოდ მეორე სეტსა და მესამის დასაწყისში ჰგავდა, მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში კი სტაბილურად მობრახუნე ოზის უპირატესობა შეუცილებელი იყო. შეგახსენებთ, რომ ჰიუიტი და საფინი გუშინდლამდე 7-ჯერ შეხვდნენ და სკვითმუსლიმი საერთო ანგარიშით 4:3 იგებდა.

და კიდევ — ჯიმი კონორსის, ივან ლენდლისა და პიტ სამპრასის შემდეგ ჰიუიტი მეოთხე მეჩოგნეა, ვინაც 12-თვიან მცოცავ რეიტინგსიაში პირველი ადგილის შენარჩუნება მთელი კალენდარული წლის განმავლობაში მოახერხა; იმავე კონორსის, ლენდლის, სამპრასისა და ასევე ჯონ მაკინროის, შტეფან ედბერგისა და ბიორნ ბიორგის შემდეგ იგი მეშვიდეა, ვინაც ზედიზედ ორი სეზონი უზენაეს საფეხურზე გაასრულა.

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლოს მოია | 2-0 | 4-0 | 26-18 |
| ლეიტონ ჰიუიტი | 2-1 | 4-4 | 39-37 |
| ალბერტ კოსტა | 1-1 | 3-3 | 26-29 |
| მარატ საფინი | 0-3 | 2-6 | 36-42 |

### ოქროს ჯგუფი

**ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — ანდრე აგასი (2, აშშ) 7:5, 2:6, 7:6 (8:6)**

ყველათვის სევდიანი სანახავია, როცა დიადი კაცი მარცხდება, მით უფრო როცა ატყობ — საქმეს ეს კაცი ჯერ კიდევ სხვებზე ეშხიანად და ზებუნებრივად აკეთებს. ვაგლახ — ანდრე აგასის გენიალურმა ჩოგნაობამ გუშინ მხოლოდ ერთი სეტისა და აქა-იქა რამდენიმე გეიმის განმავლობაში გასტანა...

„ვერ წარმოიდგენთ, რას განვიცდი — დანა პირს არ უხსნიდა ნამატჩევს აგასის — აზრზე არა ვარ, როგორ გადმოგცეთ ჩემი ტკივილი... თუკი რამ მამშვიდებს, ისევ ის, რომ მჯერა, იმაზე გაცილებით უკეთ შემიძლია თამაში, ვიდრე ამ დღეებში ვაჩვენე... ახლა სხვა არაფერი დამრჩენია — შინისაკენ უნდა გავუტიო, კარგად დავისვენო და მომავალი სეზონისთვის ვემზადო. ამ სეზონს გამორჩევით ველოდები და გარწმუნებთ, ის წელი ჩემთვის უფრო წარმატებული იქნება... რაც შეეხება ლეიტონს, მას საუცხოოო სეზონი ჰქონდა. მან ისევ დაამტკიცა, რომ უძლიერესია და ხამს, ის კვლავაც საქებარი სიტყვებით მოვიხსენიოთ"...

აგასისა და ფერეროს ორივე აქამომდელი მატჩი წლეულს შედგა. ეგებ გახსოვდეთ — როლან გაროსის მეოთხედფინალში ფერერომ იმარჯვა, მადრიდული მასტერსტურნირზე კი უფრო ძლიერი აგასი იყო. გამოდის, რომ „კოლოდ" წოდებული ესპანელი ჯადო ანდრანიკს ახლა 2:1 უგებს.

**როჯერ ფედერერი (6, შვეიცარია) — ირჟი ნოვაკი (7, ჩეხეთი) 6:0, 4:6, 6:2**

წაგებული მეორე სეტი რომ არა, შვეიცარიელი როჯერ ფედერერის გარჯისთვის ეგებ იდეალურიც გვეწოდებინა. მაგრამ ჯერ ერთი, ხსენებულ სეტში მან უამრავი ბითური შეცდომა დაუშვა, ხოლო მეორეცაა და, იმის გათვალისწინებაც ხამს, რომ წლის საგვირისტო ტურნირზე მოხვედრის მიუხედავად, 27 წლისა და სამი შვილის მამა ნოვაკი მეტოქეებზე მაინც ერთი ჩოგნით ნაკლები კაცია.

არადა, პირველ და უკანასკნელ სეტებში 21 წლის ალპელი, რომელმაც წლეულს უკვე 57-ე მატჩი მოიგო, მართლაც ბრწყინვალე იყო. მეტოქეს აგრესიულად ეძალებოდა, ბადესთან ჩაჭრილი დარტყმებით აურაცხელ ქულას აგროვებდა და, საერთოდაც, თამაშს თავისი ნებისამებრ, მძლავრად და დამთრგუნველად წარმართავდა მეტოქის ულმობელი რბევა მან მხოლოდ მეორე სეტის ერთ მონაკვეთში შეწყვიტა, რაიც გამოცდილმა ჩეხმა, რომლის ძირითადი საჩოგნაო ამოცანაც ბურთის მეორე მხარეზე გადაგდებით შემოიფარგლება, უყოყმანოდ გამოიყენა.

ეგ იყო და ეგ. ძალუმი გლაჯუნის შესაშურ სიმშვიდესთან შემხამებელმა ფედერერმა გადამწყვეტ ეტაპზე მატჩის სადავეები ისევ მედგრად უკუპყრა და ნოვაკის ბოლომდე მოდრეკა მერე აღარ გასჭირვებია. კარლოს მოიას შემდეგ ის მეორეა, ვინაც ნახევარფინალში გასვლა შეძლო.

მისმა შანხაიურმა გარჯამ საჩოგნეთი ისე მოხიბლა, რომ ფედერერი (უკვე მერამდენედ) დიად პიტ სამპრასსაც კი შეადარეს.

ფედერერი: „ჰო, ამგვარი რამ პირველად არ მესმის. მაგრამ, თუმცა შეიძლება რაღაცით ჩამოვგავდე კიდეც, მაგრამ ჩემი შედეგები მისასთან რა მოსატანია. ეგეც არ იყოს, ეს ტურნირიც როგორ მორჩება ერთი ღმერთმა უწყის. ისე — ჩემი თამაშით მეც კმაყოფილი ვარ და ასე თუ გავაგრძელე, ეგებ რაღაც შანსები მეც უნდა მქონდეს... სხვაფრივ — ამ დღეებში ჩემი მშობლიური ბაზელის საფეხბურთო კლუბის წარმატება მაგულიანებს. ჩვენთვის ეს წარმოუდგენელი მიღწევაა. მათ ჯერ თასი მოიგეს, შემდეგ ჩემპიონატი, მერე „სელტიკს" გასცდნენ და ახლა ეს დაუჯერებელი ამბავი. კარგი იქნება, მათ ევრომატჩებზე დასწრებას თუ მოვახერხებ".

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ნოვაკი და ფედერერი აქამდე ერთმანეთს 5-ჯერ შეხვედროდნენ და ჩეხი ერთი მოგებით უპირატესობდა.

**ლევან ძელაურაძე**

| | | | |
|---|---|---|---|
| როჯერ ფედერერი | 2-0 | 4-1 | 28-15 |
| ირჟი ნოვაკი | 1-1 | 3-2 | 21-22 |
| ხუან ფერერო | 1-1 | 2-3 | 23-29 |
| ანდრე აგასი | 0-2 | 1-4 | 23-29 |



REUTERS შანხაიდან

როჯერ ფედერერი

# ამბავ-ხაბარი



ჩანაჩაი და პარადორნ შრიჩაფანები სავალდებულუ სამსახურს სავალდებულოდ მიიჩნევენ

## რიგითო შრიჩაფან!
### ვინცა მოკვდეს მეფეთათვის

**ტაილანდური** და სრულიად მსოფლიო ჩოგნაობის აწ უკვე ამოსულ ვარსკვლავ პარადორნ შრიჩაფანს თავისი საჩოგნაო ნიჭის დროებით ხალთაში დამალვა და სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე დადგომა ელის. უფრო ნათლად რომ ვთქვათ — მომავალი წლის 7 აპრილისთვის ის ბანგკოკში, წვევამდელთა ერთ-ერთ ბანაკში უნდა გამოცხადდეს. „კანონი კანონია, მას ყველა უნდა დაემორჩილოს" — აცხადებს 23 წლისა და მსოფლიოში უკვე მე-18 ჩოგნის მქნეველი პარადორნის მამა-მწვრთნელი ჩანაჩაი შრიჩაფანი.

არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ ნიჭიერი ტაილანდელი ჯარში წასვლას გადაურჩეს? ტაილანდური კანონმდებლობის თანახმად, ბანაკში მისულთ საგანგებო თავდაგმანული კასრიდან წითელ-შავი ქაღალდები უნდა ამოიღონ. თუკი წვევამდელს წითელი ფერის ქაღალდი ერგება, მას უმალ თავს გადაპარსავენ, შავის ამომღებს კი შინ დაბრუნება და სამოქალაქო ცხოვრების გაგრძელება შეეძლება.

პატივცემული ჩანაჩაი ფიქრობს, რომ იმ დიდების გამო, რაიც მისმა ვაჟმა ტაილანდს მოუტანა, პარადორნი ჯარის გარეთ დარჩენას იმსახურებს. თუმცა შრიჩაფანთა ოჯახს მხოლოდ ღმერთების იმედი თუ ექნება, რამეთუ „კანონმა — იმავ ჩანაჩაის თქმით — არავითარი გამონაკლისი არ იცის".

ჩვენებურისა არ იყოს, ტაილანდურ ჯარში ორი წლის განმავლობაში მსახურობენ და ადვილი წარმოსადგენია, ორი წლის შემდეგ სანგრებში ნახოხიალები პარადორნი რა ჩაუქადაც იჩოგნავებს. არადა, წლევანდელი სეზონის დაწყებამდე მას მხოლოდ 126-ე ჩოგანი ეპყრა და ბრწყინვალედ ჩათამაშებული სეზონის შემდეგ, რომლის მსვლელობისასაც მან — სხვათა სახელიან მეჩოგნეთა შორის — ლეიტონ ჰიუიტისა და ანდრე აგასის დამარცხებაც შეძლო, მსოფლიო ზეოცეულშიც შეაღწია.

გუშინ პარადორნი და ჩანაჩაი ტაილანდის მრისხანე მეფე ბჰუმიბოლ ადულიადეის უნდა ხლებოდნენ. უაჯებდა თუ არა პატივცემული მამა გოროზ მონარქს მისი შვილის „შეწყალების" თაობაზე, ეგ ჩვენ არ ვიცით, ისე კი, ამ ბიჭზე ამდენი გვიწერია და, დიდო მეფეო, ნურც მას დაუკარგავთ ნაამაგარსა და ნაოფლარს და ნურც ჩვენ ჩაგვიყრით მეკონგის წყალში ამდენ ნაკლავიატურებ გზნებასა და ენამჭევრობას!

## მიმინოს შეკანასკნელი მიმინოზა

**ამ კვირას** 20 წლის ციდა ბელგიელი ქალმეჩოგნე ჟუსტინ ენენი ჟუსტინ არდენად გადაიქცევა, რაკილა მისთვის ამ გამორჩეულ დღეს ოდინდელ სატრფოს, პიერ-ივ არდენს უნდა შეეუღლოს. გუშინ კი ის და მისი წლით უმცროსი დოსტ-მეტოქე კიმ კლაისტერსი, ვინაც ამ კვირაში WTA-ს წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა, ერთმანეთს სალაღობო მატჩში შეეყარნენ.

ლოს ანჯელესურ მეოთხედფინალის მსგავსად, რომელშიც კიმმა ჟუსტინს ორ სეტში აჯობა (6:2 6:1), მესამე სეტამდე არც ეს შეხვედრა მისულა — მობილიზებულმა და საამკვირაო საარაკო წარმატებით შეგულიანებულმა კლაისტერსმა ერთთავად მომავალ ჯვარისწერაზე მოფიქრალ ენენს კვლავ იოლად, 6:1 6:4 მოუგო.

ამგვარად — კიმს შეუძლია იამაყოს იმით, რომ ის ენენის უკანასკნელი მძლეველია.

**ლევან ძელაურაძე**



ჟუსტინ ენენი




# ჰელსინკი 1952

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაკვეთითა და საქართველოს ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით გამოვიდა ავთანდილ გურასაშვილის წიგნი „ჰელსინკი 1952".

ეს წიგნ-ალბომი საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიური დებიუტის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა. წიგნი ხუთი თავისგან შედგება. პირველ თავში მოთხრობილია ზოგადად ქართველ ოლიმპიელთა შედეგებზე, მეორე ნაწილში საუბარია საერთოდ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, მესამეში — ჩეხოსლოვაკიელ ემილ და დანა ზატოპეკებზე, რომლებიც ამ ოლიმპიადის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენებად აღიარეს; მეოთხე თავში ვეცნობით თავად ჰელსინკს, ხოლო მეხუთეში დაბეჭდილი ნარკვევები საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე და პრიზიორებზე მოგვითხრობენ.

132-გვერდიან წიგნ-ალბომში დასტამბულია სხვადასხვა ავტორის 200-მდე ფოტო, რომელთა ნაწილი საქართველოში პირველად ქვეყნდება, თავად ავტორის 25 სურათი კი საერთოდ პირველად იბეჭდება.

წიგნ-ალბომში დასტამბული წერილებისა და ფოტოების უმრავლესობას კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, რადგან ისინი სხვადასხვა წლებში „სარბიელში" გამოქვეყნდა, ნაწილი კი პირველად დაიბეჭდა. დღეს გთავაზობთ სწორედ ერთ ასეთ ნარკვევსა და სამ ფოტოსაც, რომელთაგან ორი პირველად ამ წიგნში დაისტამბა. მასში მოთხრობილია ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორზე, კალათბურთელ ნოდარ ჯორჯიკიაზე, რომელსაც დღეს 81 წელი შეუსრულდა.

# ნაცნობი კაცი უცნობი ქალისა და მამის პორტრეტთან

**ნოდარ ჯორჯიკია** საკალათბურთო სარბიელზე თავის გულშემატკივრებსაც აღაფრთოვანებდა და მოწინააღმდეგე გუნდების ქომაგთაც. მას ტაშს უკრავდნენ ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა და ბერლინის სტუდენტთა XI მსოფლიო თამაშებზეც (1951), საიდანაც ჩემპიონად დაბრუნდა, მაგრამ რომ არა მამამისი, ნოდარ ჯორჯიკია ვერც ჰელსინკში ითამაშებდა და ვერც ბერლინში. როგორც თავად იხსენებს, იმხანად მის უცხოეთში გასვლის საქმეს ტაბუ ჰქონდა დადებული.

— ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში მამაჩემი მივიდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლავრენტი ბერიასთან და უთხრა, ჩემი შვილი თუ დასაჭერია, დაიჭირეთ, თუ არა და ნაკრებთან ერთად უცხოეთში თამაშის ნება კვლავ მიეცითო — იხსენებს ნოდარ ჯორჯიკია — ამან გაჭრა და საზღვარზე კვლავ მწვანე შუქი აინთეს, რასაც ბერლინისა და ჰელსინკის წარმატებები მოჰყვა.

ერთგანაც და მეორეგანაც იგი უკვე საკმაოდ გამოცდილი კალათბურთელი იყო, რადგან ევროპის ჩემპიონის რანგში თამაშობდა. 1947 წელს პრაღაში გამართული ამ ჩემპიონატიდან დაბრუნებულს აუკრძალეს უცხოეთში გასვლა, თუმცა რატომ, რისთვის, ეს დიდხანს თავადაც არ იცოდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ნოდარ ჯორჯიკიას, როგორც სპორტსმენის დასახასიათებლად, ისიც ვთქვათ, რომ იგი ქართველ კალათბურთელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედის ერთ-ერთი კაშკაშა ფიგურა იყო. ჯორჯიკია ხუთჯერ (1941, 46, 50, 53, 54 წ.წ.) გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ამ მხრივ რეკორდსმენად გვევლინება, ორჯერ კი (1950-51) თასსაც დაეუფლა.

ყოველივე ამას, იქ გადახდილ ბრძოლებსა და სხვა ამბებსაც ვიხსენებდით, როდესაც ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ნახევარსაუკუნოვანი იუბილის დღეებში შინ ვეწვიეთ ვეტერანს. სავარძელში მოკალათებული 81 წლის მხნე და ახოვან ნოდარ ჯორჯიკიას თავს დასცქეროდა ფრაკში გამოწყობილი ახალგაზრდა მამის პორტრეტი, რომელიც თითქოს ყურს უგდებდა შვილის ნაუბარს.

— ერთმა ჩემმა მეგობარმა მამაჩემის პორტრეტი რომ ნახა, ნახევრადხუმრობით მითხრა, როგორი წარმოსადეგი, სიმპათიური მამა გყოლია და შენ ვის დაემსგავსეო, მე კი ვუპასუხე, მამაჩემს რომ უყურებ, მან სორბონის



ნოდარ ჯორჯიკია მამის პორტრეტის ფონზე

უნივერსიტეტში და ბორდოს აკადემიაში მიიღო განათლება. კაცი ლიტერატორი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი იყო, მე და შენ კი დილომში პირველი გიმნაზია დავამთავრეთ და, აბა, მამაჩემს როგორ დავემგვანებოდი-მეთქი.

ნოდარ ჯორჯიკიას ამ ოხუნჯობაში სახუმარო დილომში მიღებული განათლება და საკუთარი გარეგნობის დაკნინებაა, თორემ მას არც პირველი აკლია და არც მეორე. საფრანგეთში განათლებამიღებული მამა პირველი გიმნაზიის, ახლანდელი პირველი საშუალო სკოლის დირექტორი იყო, მართალია, ნოდარ ჯორჯიკია მიქელაძეების ოჯახში, ბებიასთან და დეიდასთან უდედოდ იზრდებოდა, მაგრამ აღზრდა და სწავლა-განათლება არ მოჰკლებია. თუმცა, მის განათლებაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა მეორე მსოფლიო ომმა. ომამდე ნოდარ ჯორჯიკია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მერე პირველი მობილიზაციით ომში უხმეს.

თუმცა, ბრძოლებამდე სოხუმის ოფიცერთა სკოლაში დაეუფლა სამხედრო საქმეს, მერე კი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი, ორჯერ დაჭრა და შინ დაზვერვის ლეგიონის უფროსის რანგში, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაბრუნება და ისევ უნივერსიტეტი, სადაც უკვე იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ნოდარ ჯორჯიკიას ერთი საკალათბურთო გუნდიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლა ნაწილობრივ სწორედ ყოველივე ამითაც აიხსნება. თუმცა, თავდაპირველად ფეხბურთით იყო გატაცებული.

— ერთხელ, ფეხბურთის თამაშისას ფეხი ამომივარდა — იხსენებს ნოდარ ჯორჯიკია — ექიმებმა მირჩიეს, ფეხბურთს შეეშვი, თორემ ფეხი ისევ ამოგივარდება და ეს ქრონიკულად გადაგექცევაო. რჩევა ყურად ვიღე. კალათბურთის და ფრენბურთის თამაში დავიწყე. ვიფიქრე, ფეხს იქ ნაკლები ძალა დაადგება-მეთქი. მაშინ 38 წელი იყო და ჩვიდმეტისა ვიყავი. იმხანად უნივერსიტეტთან ახლოს გადავედით საცხოვრებლად. ხშირად უნივერსიტეტის ეზოში გადავდიოდი და კალათბურთსაც იქ ვთამაშობდი. მალე უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდშიც ჩავირიცხე და მერე სტუდენტიც გავხდი. 1941 წელს, ომამდე ლენინგრადში გამართულ ათი ქალაქის ტურნირში, რომელიც ძალზე პოპულარული ტურნირი იყო, „უნივერსიტეტის" შემადგენლობასთან ერთად მეორე ადგილი დავიკავეთ, რაც ჩემი პირველი დიდი წარმატება გამოდგა. ომის მერე, როგორც ოფიცერი, თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის წევრი ვიყავი და მასთან ერთად 1944 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი, მომდევნო წელს კი მესამე ადგილი დავიკავეთ. 1950 წლიდან თბილისის „დინამოში" ვარ. იმ წელსვე ყველა საკავშირო შეჯიბრება მოვიგეთ, თუ კი რამ მოსაგები იყო: გავიმარჯვეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, საკავშირო თასის გათამაშებაში და ათი ქალაქის ტურნირშიც. ამის მერე ყველა ჩემი წარმატება თბილისის „დინამოს" უკავშირდება, უმთავრესი მიღწევა კი, რალა თქმა უნდა, ოლიმპიური ვერცხლის მედალი იყო.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე მოასპარეზე საქართველოს წარგზავნილთაგან ნოდარ ჯორჯიკია ერთადერთი ფრონტგამოვლილი სპორტსმენი აღმოჩნდა.

მართალია, ნოდარ ჯორჯიკია დიდად აფასებს ოლიმპიურ ვერცხლს, მაგრამ ამბობს, ჭკვიანურად რომ გვეთამაშა და ჰელსინკისთვისაც მზადება ასევე დაგვეგეგმა, ამერიკელებსაც ვაჯობებდითო.

— ოლიმპიური თამაშებისთვის ლენინგრადში ნახევარწლიანი შეკრება გვქონდა — გვიამბობს ნოდარ ჯორჯიკია — ეს ქალაქი, მოგეხსენებათ, ჰელსინკთან ახლოსაა და ლენინგრადში ვარჯიში მართლაც ძალზე ხელსაყრელი იყო, მაგრამ ოლიმპიური ოქროს მოსაპოვებლად ცხადია, ეს, საკმარისი არ გახლდათ. მთავარი მაინც მწვრთნელთა კვალიფიკაცია და მოთამაშეთა შერჩევა იყო, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ გასაგები მიზეზების გამო გუნდის წევრებს არა მხოლოდ მწვრთნელები, არამედ კგბ მკაცრად არჩევდა. ამ საცერს მიღმა ბევრი კარგი სპორტსმენი რჩებოდა. ამასთან, მწვრთნელები, არ ვიცი მითითება ჰქონდათ თუ რა იყო, ცდილობდნენ გუნდში რაც შეიძლება მეტი მოსკოველი მოხვედრილიყო. ამიტომ ნაკრებში რვა-ცხრა მოთამაშე ვიყავით, დანარჩენებს კი 1947 წლის მერე აღარც უთამაშიათ და ბალასტს წარმოადგენდნენ. გუნდის წევრთა უმეტესობაც ჰელსინკში ვარჯიშისგან გადაღლილი ჩავიდა, რადგან მწვრთნელებმა დატვირთვის დოზირება არ იცოდნენ. იმ ექვსთვიან შეკრებაზე მე და ოთარ ქორქიამ ჭკუა ვიხმარეთ. ვითომ ავად გავხდით და ამიტომ ბოლოს მსუბუქ ვარჯიშს გვაჯერებდნენ. ამასთან, ჰელსინკში რატომღაც სასტარტო ხუთეულში არ მაყენებდნენ. ამიტომ ჩვენი გუნდი ზოგიერთ შეხვედრას მდევრის როლში იწყებდა. მერე, კრიტიკულ მომენტში მწვრთნელები სარბიელზე მე მიშვებდნენ და ბოლოს შეხვედრებს ვიგებდით. როცა ამის თაობაზე უფროს მწვრთნელ სტეფან სპანდარიანთან ჩემი უკმაყოფილება გამოვთქვი, გვერდზე გამიხმო და სხვებს რომ არ გაეგოთ, ჩუმად მითხრა, ასე იმიტომ ვიქცევი, შენი წყალობით წაგებულ თამაშებს ვიგებთ და ეს კარგად გვაქვს დაცდილიო. დღესაც ვერ გამიგია, რა ლოგიკა იყო ამაში. ოთარ ქორქია კი სულ შიშობდა, ღმერთი რომ გაგვიწყრეს და წავაგოთ, შეიძლება ყველაფერი ქართველებს დაგვაბრალონო.

ასე იყო თუ ისე, ამერიკელების გარდა ყველას მოვუგეთ. ამერიკელები მოყვარული კალათბურთელები იყვნენ. მოგეხსენებათ, მაშინ ოლიმპიურ თამაშებზე პროფესიონალებს არ აჭაჭანებდნენ. მიუხედავად ამისა, ჩვენსა და ამერიკელ კალათბურთელთა შორის დიდი სხვაობა იყო. ამერიკელები თამაშობდნენ იმ კალათბურთს, რასაც კალათბურთი ჰქვია. მათ ნახევარფინალური ეტაპის შეხვედრაც მოგვიგეს (86:58) და ფინალურიც 36:25. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, რომ ჭკვიანური თამაშით გამარჯვება შეგვეძლო.

ახლა დავუბრუნდეთ პრაღაში 1947 წელს გამართული ევროპის ჩემპიონატის „ინციდენტს", რის გამოც ნოდარ ჯორჯიკიას უცხოეთში გასვლა აუკრძალეს. მაშინ საბჭოთა ნაკრებმა ყველა მეტოქეს სძლია, რაშიც უდიდესი წვლილი ნოდარ ჯორჯიკიამაც შეიტანა. საბჭოთა ნაკრების დაცვის სული და გული სწორედ ჯორჯიკია იყო და მეტოქეთა თავდამსხმელებს ისე გაუხადა საქმე, რომ ისინი აქცია მცველებად.

— ჩვენს თამაშებს პრაღაში მცხოვრები ერთი ქართული ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ — იხსენებს ნოდარ ჯორჯიკია — ერთხელაც ჩვენთან მოვიდნენ და მე და ოთარ ქორქია შინ მიგვიპატიჟეს. მოგეხსენებათ, მაშინ ასეთი ურთიერთობები საბჭოთა მოქალაქეთათვის იზღუდებოდა და ამიტომ ჩვენს გუნდზე აკიდებული უშიშროების სამსახურის სამიდან ერთ-ერთს, რომელიც უფროსად მიგვაჩნდა, ვუთხარით, ამ საღამოს აქაური თანამემამულენი გვეპატიჟებიან, თუ თქვენც წამობრძანდებით, დიდ პატივს დაგვდებთ-მეთქი, მან კი მიპასუხა, შენ და ოთარს გენდობით და უჩემოდ წადითო. წავედით და ბოლოს პრაღელმა თანამემამულეებმა იქიდან თავიანთი ახლობლებისთვის ორი ჩემოდნით ნახმარი სამოსი და ფეხსაცმელი გამოგვატანეს. ამას ყველას სათითაოდ ხომ არ ვაცნობებდით და ჩვენც იმ უშიშროების თანამშრომლის ნებართვით წამოვიღეთ. შინისკენ მომავლებმა ვაგზალზე საერთო ბარგი რომ გადათვალეს და ორი ზედმეტი ჩემოდანი აღმოაჩინეს, მწვრთნელებმა იკითხეს, ვისიაო. რაკი ქორქია სადღაც შორიახლოს იყო, მე კი იქვე ვიდექი, დავიბრალე, ორივე ჩემია-მეთქი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს ამბავი ჩემი უცხოეთში გაუსვლელობის მიზეზი გახდა, რაც წლების მერეღა გავიგე.

ნოდარ ჯორჯიკიამ სხვაც ბევრი რამ გვიამბო, მაგრამ არანაკლებ საინტერესო იყო მისი მსჯელობა ღვთანდელ ყოფაზე, ზნეობაზე, ანტიკურ დემოკრატიაზე, პედაგოგიკაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე...

ყოველივე ამაზე მის სამუშაო მაგიდასთანაც ვსაუბრობდით, რომელსაც ამშვენებდა მამამისის მიერ პარიზიდან ჩამოტანილი ფრანგი ფერმწერის „მშვენიერი უცნობი ქალბატონის" ასლი. მამაჩემს ძალიან მოსწონდა ეს ნახატი და მისი მზერა მეც მსიამოვნებსო.



ნოდარ ჯორჯიკია (№8)



ნოდარ ჯორჯიკია „უცნობი ქალის" პორტრეტის ფონზე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



ჭუონ ჰოვარდმა და ლორენზო ჰარინგტონმა ფინიქსელი სტივენ მარბერი მოიმწყვდიეს

REUTERS

# პირველკლასელებს კლასი აკლიათ

13 ნოემბერი

**დენვერი 72:75 ფინიქსი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (4), პოუზი (8), ბოუენი (4), ჰოვარდი (19), ბლუნტი (10); ილარიო (14 ქულა, 10 მოხსნა), შარპი (7), ვაიტი (3), სატერფილდი (3), ცქიტიშვილი (5 წუთი, 1 პასი)

**ფინიქსი:** მარბერი (19), ჰარდევეი (13), მარიონი (14), ბულიოტა (2), ცაკალიდისი (2); სტუდემაიერი (12), ჯეკსონი (6), ლანი (4), უილიამსი (3), აუთლოუ, ჯონსონი

**ბოსტონი 91:81 ფილადელფია**

**ბოსტონი:** უოლკერი (20)

**ფილადელფია:** აივერსონი (25)

**ნიუ ჯერსი 91:82 სან ანტონიო**

**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (27), კიდი (18)

**სან ანტონიო:** დანკანი (21), ჯეკსონი (20)

**ნიუ ორლეანი 102:98 მინესოტა**

**ნიუ ორლეანი:** მაშბერნი (25), ალექსანდერი (23)

**მინესოტა:** გარნეტი (16), სტრიკლენდი (16)

**კლივლენდი 99:103 დალასი**

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (34 ქულა, 14 მოხსნა), ჯონსი (23), დევისი (19)

**დალასი:** ფინლი (26), ნოვიცკი (17)

**მილუოკი 108:101 ჩიკაგო**

**მილუოკი:** რედი (24), ალენი (19)

**ჩიკაგო:** როუზი (24), უილიამსი (20), მარშალი (19)

**გოლდენ სტეიტი 93:104 საკრამენტო**

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (31), მერფი (17)

**საკრამენტო:** ვებერი (33), ჯეკსონი (17 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი)

„დენვერ ნაგიტსი" წაგებათა ნიაღვარშიც აზერზებს ღირსების შენარჩუნებას. კლას და ასაკნაკლული ბიჭებით სავსე ჯეფ ბზდელიკის გუნდი ბოლომდე ომობს და აბუჩად არავის აგდებინებს თავს. კოლორადოელები კიდევ ძალიან ბევრჯერ დამარცხდებიან და ძნელი სათქმელია, რამდენ წაგებას გაუძლებს მათი სიმტკიცე, მაგრამ სადღეისოდ ერთადერთი, რაც მათ არ აკლიათ, ეს მონდომებაა.

„დენვერს" შემადგენლობაში არა ჰყავს სტივენ მარბერის, პენი ჰარდევეისა და შონ მარიონისთანა ვარსკვლავები, მაგრამ ამათ „ფინიქსს" ბოლომდე გამოსწურა ოფლი და რომ მოეგო, არც არავინ გაოცდებოდა.

„ნაგიტსმა" პირველ ნახევარში აშკარად აჯობა სტუმრებს. ერთი ხანობა ·10 ქულითაც გაექცა, მაგრამ არიზონელთა კლასმა გადასწონა კოლორადოელთა ჯიგარი. „ფინიქსმა" მესამე მეოთხედი 29:11 აართვა „დენვერს" და ბოლო მეოთხედში გაჩაღებულ ბრძოლაში მარიონისა და მარბერის წყვილ-წყვილი საბოლოწამებო საჯარიმოების წყალობით იმარჯვა.

ნიკა ცქიტიშვილმა ამ შეხვედრაში მცირე ხნით ითამაშა და გამოსარჩევი არაფერი გაუკეთებია. და ვინაიდან „ფინიქსის" სოხუმელი ბერძენი ცენტრი იაკოვოს ცაკალიდისიც ძირითადად სკამზე იჯდა, ნიკას მასთან საქმე არ ჰქონია.

კლივლენდში იმარჯვა და ქამარზე კიდევ ერთი სკალპი დაიკიდა ჯერაც დაუმარცხებელმა „დალასმა". ტეხასელებს თითქოს იოლი გასეირნება უნდა ჰქონოდათ კლივლენდში, მაგრამ მოულოდნელად იქაური „კავალერია" ყალყზე შედგა. მართალია, იმ დღეს ფეხი ვერ უჭრიდა „კლივლენდის" ახალგამომცხვარ ლიდერ რიკი დევისს, მაგრამ მას დროში გამოსტაცა ახმახმა ლიტველმა, 221-სანტიმეტრიანმა ჟიდრუნას ილგაუსკასმა და ბოლო წამებამდე ამაყად ატარა. ლიტველმა ცენტრმა, რომელიც ახლა სრულიად ჯანმრთელია და ჯანზეა, კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და თავის წილი, სარეკორდო 34 ქულა გაუშანა მასპინძლებს. კლივლენდმა ამით ვერაფერი მოიგო. დალასელ დირკ ნოვიცკის იმ დღეს სროლებისას ხელი უკანკალებდა, მაგრამ როცა მის გუნდს ყველაზე მეტად დასჭირდა, მაშინ ივაჟკაცა, თავისი 17 ქულიდან 13 ბოლო მეოთხედში ჩააგდო, თან სულ საკვანძო ეპიზოდებში და „მავერიკი" წაგებას აარიდა.

ასევე დღემდე დაუმარცხებელია „ნიუ ორლეან ჰორნეთსი", მხოლოდ შინ, საკუთარ კედლებში. ახალ სკაში „კრაზანებს" ხუთიდან ხუთი თამაში მოუგიათ და ახალ ქომაგებში უმალ მოუხვეჭიათ ჯიგრიანი გუნდის სახელი. ჯერ ადრეა, მაგრამ მაინც ვთქვათ, რომ შარლოტიდან იძულებით გადმოხვეწილი „ჰორნეთსი" კარგად შეეწყო ახალ ორლეანს, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც „კრაზანებმა" ამჯერად მინესოტელი „მგლები" დანესტრეს თავის მთავარი მგელკაცათი, კევინ გარნეტით.

ზედიზედ მოგებულ თამაშებს ერთიც მიამატეს და ექვსი გახადეს ბოსტონელმა „კელტებმა", რომელთაც ამჯერად ალენ აივერსონის „ფილადელფია" წამოაგეს შუბზე. „კელტთა" კვალად იმარჯვეს მოქმედმა ვიცე-ჩემპიონებმა ნიუჯერსელებმაც და ექვსი მოგებით და ორი მარცხით ატლანტიკურ მეოთხედში პირველობას იყოფენ „ბოსტონთან".

**ქოთქი ყორშია**



# მეცამეტე დაითარსა გლდანი გამოცდილი ჩამოფრინდება

**დღეს და კვირას** საფრანგეთის ქალაქ შამბერში ამავე დასახელების გუნდთან ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ორ მატჩს გამართავს საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „გლდანი" და ამით ჩვენი სახელბურთო სეზონიც დაიხურება.

დაიხურება, რადგან წლის ბოლომდე ეროვნული ჩემპიონატის თუნდაც ერთი ტური არ შედგება. საქართველოს პირველობა ტრადიციულად შემოდგომაზე იწყებოდა და სიბნელე-სიცივეში გამოზამთრების შემდეგ მაისამდე გრძელდებოდა. ეს გრაფიკი ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდშიც კი არ დარღვეულა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო რიგით მე-13 ეროვნულის დაწყება დროულად ვერ მოხერხდა. უმთავრესი და საპატიო მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს ხელბურთის ასოციაციას შეჯიბრის გამორჩეულად მაღალ დონეზე ჩატარება განუზრახავს, ოღონდ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური თანადგომით. მაგრამ რაკი ეს დახმარება წლეულს ვერ მოესწრებოდა, ჩემპიონატის სტარტიც მარტამდე გადაიდო, ამასთან, ეროვნული ნაკრების მზადების გათვალისწინებითაც.

იანვარში ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტური ელის. მეტოქეები — ავსტრია, თურქეთი და კვიპროსი დაუძლეველები სულაც არ არიან, თანაც, შემდგომ ეტაპზე ჯგუფიდან ორი გუნდი გადის. უბედურება ისაა, რომ, უკვე მერამდენედ, უფულობის და სხვა ხელისშემშლელი პირობების გამო მოწინააღმდეგეთა თბილისში დაპატიჟებას ვერ შევძლებთ და საშინაო თამაშებსაც მათ მოედნებზე გავმართავთ. ასე რომ, გრანდების კამპანიაში მოხვედრის რეალური შანსი — ფაფუ!

ბოლოს კვლავ „გლდანს" დავუბრუნდეთ. გუნდი საფრანგეთში მოსკოვის გავლით სამშაბათს გაფრინდა. გეხსომებათ, გლდანელებმა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე თელავში ლუქსემბურგის „ბაშარაჟს" სძლიეს. მათი ამჟამინდელი მეტოქე ლუქსემბურგელებზე ბევრად ძლიერია — „შამბერი" საფრანგეთის ექსჩემპიონია, ფრანგთა ნაკრები კი მსოფლიოს ორგზის ტრიუმფატორი. ასე რომ, „გლდანს" წარმატების შანსი არა აქვს, მაგრამ ამჯერად მთავარი ისაა, რომ ევროელიტის წარმომადგენლებთან ორმატჩიან სერიაში 18-20 წლის ქართველი ხელბურთელები უზარმაზარ გამოცდილებას შეიძენენ.

**გია ახალაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# შავმა შავის ფყავი დახია

13 ნოემბერი

**ვაშინგტონი 1:6 დალასი 0:2 1:2 0:2**

**0:1 იანგი (3), 0:2 ტარჯონი (14), 1:2 მილერი (25), 1:3 გერინი (34), 1:4 გერინი (40), 1:5 მოროუ (42), 1:6 ლემტინენი (55)**

ვაშინგტონის თავკაცები დალასთან მატჩში ნამდვილად ველარ ჩააყენებენ კარში ოლაფ კოლციგს. მართალია, გერმანელი გუნდის წამყვანი გოლკიპერია და ლიგაშიც კარგი რეპუტაციით სარგებლობს, მაგრამ რატომღაც დალასთან მუდამ იბნევა ხოლმე. 1989 წლის შემდეგ, როცა ლიგაში დებიუტი ჰქონდა, კოლციგს დალასის გარდა ყველა გუნდთან მოუგია. ტეხასელებთან 8 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დამთავრდა ფრედ. ახლანდელი მარცხიც მხოლოდ მის სინდისზეა. მეორე პერიოდში კიპ მილერის ძალისხმევით ვაშინგტონმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თამაშსაც თითქოს დაუბრუნდა ინტრიგა, მაგრამ... ბილ მერინს, ვისაც 14 თამაშში მხოლოდ ორი გოლი ჰქონდა გატანილი, ახლა არ გასჭირვებია კოლციგის დაბნეულობით სარგებლობა. მისი ორი დარტყმიდან (შორიდან და ერთობ მახვილი კუთხიდან) ერთიც არ იყო აუღებელი, მაგრამ, თურმე, არა ოლაფისთვის.

„ცუდი თამაში იყო, თავად ჩავაბარეთ მოგება მეტოქეს" — წაიბურტყუნა მატჩის შემდეგ ნირწამხდარმა გერმანელმა.

**ფილადელფია 1:1 ფლორიდა 0:0 1:1 0:0 0:0**

**1:0 ბრენდლი (23), 1:1 მუსელიუსი (39)**

ამ თამაშში ორი შავკანიანი ჰოკეისტის საცირკო სანახაობა შედგა. ფილადელფიელ ელ დონალდ ბრაშირს ხელები ექავებოდა და მთელი მატჩის განმავლობაში ცდილობდა ფლორიდელ პიტერ უორელის პროვოცირებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა შორს დაიჭირა თავი და მხოლოდ ჯასტინ უილიამსის მიმართ გამოიყენა ძალისმიერი ილეთი.

**ატლანტა 3:2 სან ხოსე 0:0 1:1 1:1 1:0**

**0:1 მარლო (25), 1:1 კოვალჩუკი (26), 2:1 მაკიკერნი (31), 2:2 ნოლანი (38), 3:2 კოზლოვი (63)**

„ეს ალბათ ჩვენი საუკეთესო მატჩი იყო ამ სეზონში და საერთოდაც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭებთან სერიოზულმა საუბარმა გუნდი სწორ გზაზე დააყენა" — ატლანტის თავკაცი კურტ ფრეზერი საკუთარი თავითაც კმაყოფილია და შეგირდების თამაშითაც. საშინელი სტარტის შემდეგ მწვრთნელმა გარკვეული რეორგანიზაცია ჩაატარა, რამაც გუნდი აშკარად გამოაცოცხლა. მაგალითად, ილია კოვალჩუკმა თადარიგში ერთადერთხელ დარჩენის შემდეგ გამოიტანა სწორი დასკვნები და უკვე შარშანდელივით მარჯვედ გამოიყურება. სან ხოსესთან ატლანტამ ზედიზედ მესამედ მოიგო.

**სამველ ღარიბიანი**



სანხოსელთა მეკარე ევგენი ნაბოკოვი ატლანტელ ილია კოვალჩუკს წელში შეუვარდა

REUTERS

### აღმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 15 | 9 | 3 | 0 | 3 | 46:29 | 21 |
| ნიუ ჯერსი | 13 | 9 | 0 | 0 | 4 | 33:25 | 18 |
| პიტსბურგი | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 46:44 | 17 |
| რეინჯერსი | 18 | 7 | 2 | 0 | 9 | 46:59 | 16 |
| აილენდერსი | 16 | 5 | 1 | 0 | 10 | 39:59 | 11 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 15 | 10 | 2 | 1 | 2 | 55:36 | 23 |
| მონრეალი | 15 | 6 | 4 | 0 | 5 | 41:45 | 16 |
| ოტავა | 13 | 6 | 1 | 0 | 6 | 34:35 | 13 |
| ტორონტო | 16 | 5 | 2 | 0 | 9 | 49:53 | 12 |
| ბუფალო | 15 | 3 | 3 | 0 | 9 | 33:40 | 9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 16 | 9 | 2 | 1 | 4 | 57:42 | 21 |
| კაროლინა | 16 | 8 | 2 | 2 | 4 | 37:36 | 20 |
| ვაშინგტონი | 16 | 8 | 1 | 0 | 7 | 36:44 | 17 |
| ფლორიდა | 17 | 6 | 3 | 2 | 6 | 38:48 | 17 |
| ატლანტა | 15 | 4 | 1 | 1 | 9 | 41:35 | 10 |

### დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 14 | 10 | 1 | 0 | 3 | 57:34 | 21 |
| ჩიკაგო | 15 | 8 | 2 | 0 | 5 | 37:32 | 18 |
| დეტროიტი | 15 | 8 | 2 | 0 | 5 | 48:37 | 18 |
| კოლუმბუსი | 15 | 7 | 1 | 1 | 6 | 49:45 | 16 |
| ნეშვილი | 15 | 2 | 2 | 4 | 7 | 32:48 | 10 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 17 | 10 | 2 | 0 | 5 | 52:38 | 22 |
| ვანკუვერი | 16 | 7 | 4 | 0 | 5 | 46:43 | 18 |
| კოლორადო | 16 | 5 | 4 | 3 | 4 | 45:44 | 17 |
| კალგარი | 16 | 5 | 3 | 3 | 5 | 39:44 | 16 |
| ედმონტონი | 16 | 5 | 3 | 1 | 7 | 41:49 | 14 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 18 | 10 | 3 | 1 | 4 | 58:39 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 16 | 7 | 2 | 2 | 5 | 46:47 | 18 |
| ანაჰაიმი | 16 | 6 | 3 | 1 | 6 | 39:43 | 16 |
| ფინიქსი | 17 | 6 | 0 | 1 | 10 | 38:55 | 13 |
| სან ხოსე | 16 | 5 | 1 | 2 | 8 | 44:54 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

# შეხვედრა

შვეიცარიელი ნაოსანი ბერნარ სტამი თავის მონატრებულ ქალიშვილს, ქლოას ეთამაშება. სტამმა პირველმა გაასრულა მარტოხელათა გარსაქვეყნო შეჯიბრის მეორე რაუნდი და პირველი მიცურდა კეიპტაუნის ნავსადგურში. ინგლისურ ტორბიდან კონცხის ალაგამდე სტამმა თავისი „არმორ ლუქსით" 24 დღეში გაცურა 6880 საზღვაო მილი.



REUTERS

# ვუტონის თასისთვის

ოკლენდში, ჰაურაკის ყურეში ლუის ვუტონის სანაოსნო თასის მეოთხედფინალებამდე მისულა საქმე. ეს ბრიტანული ნავი „გარ ბელინჯია", შეჯიბრი კი ამერიკულმა „თიმ დენის ვონერმა" მოიგო, რომელმაც ბრიტებს 1 წუთით და 17 წამით აჯობა.




REUTERS

# ამ შაბათს

ეს ორი ცეროდენა ბიჭი, ერიკ მორალესი (მარცხნივ) და პოლი აიალა გახლავან. ცეროდენობა მოჩვენებითია, ამათი მუშტი მტერს მოხვდა. ამ შაბათს სწორედ ისინი იბრძოლებენ ლას ვეგასის „მენდელეი ბეის" დარბაზში საბჭოს (ვბკ) ვაკანტური საკრივო ქამრისთვის.

# ახლა პარიზში

ელისეს მინდორზე მუსიკის სმენაში გართულა ახალზელანდიელი მთაკაცი ჯონა ლომუ. ევროპას მოსულმა „ოლ ბლექსმა" გასულ უქმეებს ინგლისელებთან წააგო, ახლა კი ფრანგებს უნდა შეებრძოლოს დიდი რაგბის მორიგ შაბათს.




REUTERS



REUTERS

# საზოგადო წუხილი

ვესტ ინდოელთა ერთდღიან საკრიკეტო სერიაში მასპინძელი ინდოეთის ნაკრები მორიგი სათამაშო დღის წინ საზოგადოებრივ აქციაში ჩართულა: ანჯაი ბანგარი, ვირენდარ სევაგი და ვივიეს ლაქშმანი აჰმედაბალის ერთ-ერთ ოტელში შეხვედრიან გუჯარათის შტატში ატეხილი სახალხო მღელვარების მსხვერპლთა შვილებს. გუჯარათში რვაასი კაცი მაინც დაიღუპა სოციალურ ნიადაგზე მომხდარი მღელვარებისას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა ლევაძე, ფატი ლვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge